ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოსო თოდუა

CELAC - მცდელობა აშშ-ის ინტერესების დაბალანსებისა ლათინური ამერიკის რეგიონში

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: სოფიო პეტრიაშვილი

ასოცირებული პროფესორი

თანახელმძღვანელი: სოფიკო ალავერდაშვილი

დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი

თბილისი, 2019

ანოტაცია

ნაშრომის მიზანია ახსნას, თუ რატომ არ იცვლება ლათინური ამერიკის რეგიონისა და ორგანიზაცია CELAC-ის საგარეო პოლიტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებთან მიმართებაში, მას შემდეგ რაც რეგიონში წამყვანი ქვეყნების ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ მემარჯვენე ძალები, რომლებიც პრო-ამერიკულ პოლიტიკას ატარებენ.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ დასავლურ ლიტერატურაში და აკადემიურ სფეროში არც თუ ბევრი კვლევაა ჩატარებული, შესაბამისად წინამდებარე ნაშრომი მნიშვნელოვან კონტრიბუციას შეიტანს საკითხით დაინტერესებული საზოგადოებისთვის, როგორც რეგიონის საგარეო პოლიტიკის თავისებურებების გაგებაში, ასევე ლათინური ამერიკის რეგიონის საგარეო პოლიტიკის მიმართებასთან ამერიკის შეერთებული შტატებისადმი.

ნაშრომის საკვლევი კითხვაა - "რატომ არ განიცადა ცვლილება CELAC-ის ანტიამერიკულმა საგარეო პოლიტიკამ მაშინ, როდესაც გაერთიანებაში შემავალი რეგიონის სამი ძლიერი სახელმწიფოს, კერძოდ, 2015 წელს არგენტინის, 2016 წელს პერუს და ასევე 2016 წელს ბრაზილიის სათავეში პროამერიკული ძალები მოვიდნენ?"

ხოლო ჰიპოთეზა მდგომარეობს შემდეგში - რეგიონული გაერთიანების საგარეო პოლიტიკური კურსის შემუშავებისას გადაწყვეტილებები კოლექტიურ დონეზე მიიღება, რომლის დროსაც ქვეყნები მხედველობაში იღებენ არა ინდივიდუალურ, არამედ კოლექტიურად შექმნილ ფონს. შესაბამისად, არგენტინაში 2015, ბრაზილიაში 2016 და პერუში ასევე 2016 წელს ხელისუფლებაში მოსული პროამერიკული ძალების მიუხედავად, CELAC-ის ანტიამერიკული პოლიტიკის წინააღმდეგ არ მიდიან, რადგან გაერთიანების წევრთა რიგებში ანტი-ამერიკული განწყობა კვლავ დომინირებს.

ნაშრომის ჰიპოთეზის ასახსნელად გამოვიყენებ საერთაშოსი ურთიერთობების ანალიტიკურ მოდელს - "Groupthink"-ს, რომელიც კოლექტიურ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცედურებსა და დამახასიათებელ ნიშან-თვისებებზე საინტერესო თეორიულ ჩარჩოს გვთავაზობს.

Annotation

Title of the paper: CELAC - Attempt to balance U.S. interests in Latin America

Author of the paper: S. Todua

The main goal of the paper is to explain why the foreign policy of the Latin American region and organization of CELAC does not change in relation to the United States, after right-wing forces pursuing a pro-American policy came to the power in the leading countries of the region.

There seems to be a scarcity of resources with regard to the research issues in the western academic literature. Henceforth, this paper will provide considerable contribution to the interested public to understand the peculiarities of the region's foreign policy and the foreign policy of the Latin American region towards the United States.

Research question is the following - why there was no change in the foreign policy of CELAC and Latin American region toward the United States, after having come the pro-American forces to the power in the leading member states, in Argentina, Brazil and Peru.

The hypothesis is the following - foreign policy and decisions of CELAC are made collectively, and in the process of collective decision-making, the member states take into account not an individual but a collective background and states in which the pro-American forces came to the power, in Argentina, Brazil and Peru, do not want to go against the majority, in order not to harm the collective background, because of anti-American sentiments in the region which are still maintained.

To explain the hypothesis of the work, I will use an analytical model of international relations - "Groupthink", which provides an interesting theoretical framework on decision making procedures and characteristic features.

სარჩევი:

შესავალი----------5

ტერმინების განმარტება----------14

ლიტერატურული მიმოხილვა----------15

ისტორიული კონტექსტი----------21

“Pink Tide”-ის დასასრული, მემარჯვენე მთავრობების გამოჩენა რეგიონში და მათი საგარეო პოლიტიკა----------28

CELAC-ის საგარეო პოლიტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებთან და საკვანძო მიზეზები----------37

თეორიული ჩარჩო ----------42

დასკვნა----------46

ბიბლიოგრაფია----------49

შესავალი

თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში ლათინური ამერიკის რეგიონი თანდათან უფრო და უფრო მეტ ყურადღებას იქცევს თავისი არსიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე. აღნიშნული რეგიონისადმი ყურადღება განსაკუთრებით გამძაფრდა ბოლო დროს მიმდინარე მოვლენების ფონზე, როდესაც ვენესუელაში მიმდინარე მოვლენებმა და დაპირისპირებამ ხელისუფლების სადავეების ხელში ჩასაგდებად ხუან გუაიდოსა და ნიკოლას მადუროს შორის, მსოფლიო მედიისა და წამყვანი სახელმწიფოების ყურადღება მიიქცია. თუმცა, ლათინური ამერიკის რეგიონით დაინტერესება ახალი ფენომენი არ არის და ამ რეგიონისადმი დაინტერესებას მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი სახელმწიფო ამერიკის შეერთებული შტატები, დაარსების დღიდანვე გამოხატავს, რისი ისტორიული დასაბუთებაც არის მონროს დოქტრინა, რომლის მიხედვითაც, ამერიკის პრეზიდენტმა ჯეიმს მონრომ, ცნობილი მონროს დოქტრინით განსაზღვრა გავლენის სფეროები, და ევროპულ სახელმწიფოებს აუკრძალა ჩარევა დასავლეთ ნახევარსფეროში მიმდინარე პროცესებში, ხოლო ამის საპასუხოდ აშშ არ ჩაერეოდა ევროპული სახელმწიფოების საქმეებში. (Brittanica, 2019).

ისტორიის განმავლობაში ლათინური ამერიკის რეგიონმა, განვითარების სხვადასხვა ეტაპი განვლო. ერთ-ერთი ბოლო ეტაპი, რომელიც ცნობილია “Pink Tide”-ის სახელწოდებით, მე-20 საუკუნის ბოლოს დაიწყო და ეს იყო რეაქცია იმ კაპიტალისტური ნეგატივებზე, რაც გამოიხატა ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიდუხჭირეში. აღნიშნული მოვლენა, იყო ალტერნატივა, ანუ პასუხი იქ არსებულ მდგომარეობაზე, და ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ახალი ლიდერები: ამ მოვლენების საწყისი იყო უგო ჩავესის მოსვლა ვენესუელაში 1998 წელს; ცოტა მოგვიანებით ლუის იგნასიო ლულა და სილვა გახდა ბრაზილიის პრეზიდენტი; 2003 წელს არგენტინაში კარლოს და სილვა აირჩიეს პრეზიდენტად; 2006 წელს ევო მორალესი იქნა არჩეული ბოლივიის პრეზიდენტად და სხვა. ყველა ეს, და სხვა ამ პერიოდში ხელისუფლების სათავეში მოსული ლიდერები, ცდილობდნენ, რომ რეგიონი ჩამოეყალიბებინათ როგორც ეკონომიკურად ისე

პოლიტიკურად დამოუკიდებელი, და დაებალანსებინათ აშშ-ის მზარდი გავლენა რეგიონზე (Cole, 2012).

ერთ-ერთი წარმატებული მცდელობა, რეგიონის ინტეგრაციისა და საერთო პოლიტიკური და ეკონომიკური ხედვის ჩამოყალიბებისა, იყო 2010 წლის თებერვალში ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნების გაერთიანების (CELAC) ჩამოყალიბება. პირველად ისტორიაში, ლათინური ამერიკის რეგიონის და კარიბის ზღვის სახელმწიფოები, ჯამში 33 ქვეყანა, შეთანხმდა, რომ ჩამოეყალიბებინათ რეგიონული გაერთიანება, რომელიც შორეულ მიზნებს ისახავდა: უპირველს ყოვლისა გეოპოლიტიკურ საზღვრების წაშლას სამხრეთ ამერიკასა და ცენტრალურ ამერიკას შორის და ლათინური ამერიკის როგორც რეგიონის გეოპოლიტიკურ გაძლიერებას; თანამშრომლობის გაძლიერებას პოლიტიკური პლურალიზმის პრინციპების აღიარებით; ეკონომიკური მრავალფეროვნების დამკვიდრებასა და აღიარებას წევრ სახელმწიფოებში.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ორგანიზაციის მიზანს ასევე წარმოადგენდა, წევრი ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული კავშირების გაღრმავება. ასევე, მნიშვნელოვანი მიზანი, რომელიც ახლად დაფუძნებულ ორგანიზაციას უნდა განეხორციელებინა, იყო კომპრომისის მიღწევა საერთო საკითხებზე, როგორც რეგიონალურ, ასევე საერთაშორისო დონეზე. ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ორგანიზაცია უნდა ყოფილიყო რეგიონის საერთო ხმა და ერთიანი პოზიციის გამჟღერებელი, როგორც ლათინურ ამერიკაში, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობაში, მაგალითად გაერო-ში (Llenderozas, 2013).

ბუნებრივია, მსგავსი სახის ანტი-ამერიკული ორგანიზაციის ჩამოყალიბება, უყურადღებოდ არ დარჩენია მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს, მათ შორის არც ამერიკის შეერთებულ შტატებს. თუმცა, ბევრი მკვლევარი, და მათ შორის ხუან დე ონისი, საუბრობს, რომ CELAC-ის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი, თუმცა აშშ-სთვის უარყოფით კონტექსტში, ითამაშა სწორედ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ობამას საგარეო პოლიტიკამ პირველ წლებში. კერძოდ, ობამას ადმინისტრაციამ, თავისი საქმიანობის

საწყის ეტაპზე, წამოიწყო ახალი პოლიტიკა აზიის, აფრიკის, ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის რეგიონების მიმართულებით, თუმცა ლათინური ამერიკის რეგიონთან ურთიერთობები შეიძლება ითქვას რომ ახალ საფეხურზე არ გადასულა, და ორ მხარეს შორის კვლავ განმსაზღვრელი დარჩა უკანონო ვაჭრობა, ტრეფიკინგი, მიგრაციის საკითხები და ა.შ. რომელიც, საკმაოდ სუსტი და არაფრის მომცემი იყო რეგიონის ქვეყნებისთვის. რეალპოლიტიკის ზოგიერთი ავტორი აშშ-ის მსგავს მიდგომას ამართლებს იმით, რომ ლათინური ამერიკის რეგიონი პირდაპირ საფრთხეს არ წარმოადგენს აშშ-სთვის, რადგან რეგიონში არ არის საფრთხე იმისა რომ ალ-ქაიდა ან სხვა ტერორისტული ჯგუფები ფესვებს გაიდგამენ, ასევე არ იწარმოება ბირთვული იარაღი, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ უსაფრთხოებას პირდაპირი საფრთხე რეგიონიდან არ ემუქრება, ლათინური ამერიკა თავისი არსით კვლავ მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებული შტატებისთვის (Juan de onis, 2013).

ბუნებრივია, რეგიონში ამერიკის შეერთებული შტატების დასაბალანსებლად შექმნილი ორგანიზაცია მხედველობიდან არ გამოპარვია რუსეთის ფედერაციას. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მომხსენებელმა, ალექსანდერ ლუკაშევიჩმა, ერთ-ერთი სამიტის შემდეგ, რომელიც CELAC-მა ჩაატარა ჰავანაში, აღნიშნა, რომ რუსეთის ფედერაცია და CELAC-ი იზიარებენ საერთო ხედვასა და პრინციპებს საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით. კერძოდ, ორივემ დაადასტურა პატივისცემა საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და გაეროს ქარტიისა, ძალის გამოყენებაზე უარის თქმა, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების პატივისცემა და სხვა საკითხები. თუმცა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, როგორც ალექსანდრე ლუკაშევიჩმა აღნიშნა, CELAC-ი იზიარებს საერთო ხედვას რუსეთის ფედერაციასთან ერთად, სირიაში მიმდინარე მოვლენებსა და ირანის საკითხებზე, რაც მისი საუბრის მიხედვით, ქმნის მყარ საფუძველს მომავალში ურთიერთობები ამ ორგანიზაციასა და რუსეთის ფედერაციას შორის კიდევ უფრო გაძლიერდეს და ახალ საფეხურზე გადავიდეს (Tass, 2014). გარდა აღნიშნულისა, რუსეთის წარმომადგენლები რეგულარუად ესწრებიან ანტი-ამერიკული ბლოკებისის „CELAC“-ის და “ALBA”-ს სხდომებს (Farah, D. Reyes, L. 2016). სირიის კონფლიქტში და ირანის საკითხებთან

დაკავშირებით კი, რუსეთის ფედერაცია და ამერიკის შეერთბული შტატები ორ სხვადასხვა ბანაკში არიან გაერთიანებულნი.

როგორც დავინახეთ, „CELAC“-ი დაფუძნების დღიდან, დიდწილად რეგიონის ქვეყნების ინტეგრაციისა და თანამშრომლობის ფონზე, ცდილობდა ამერიკის შეერთებული შტატების დაბალანსებას და ამ კუთხით არც რუსეთთან თანამშრომლობას ერიდებოდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა ირანისა და სირიის საკითხი, როგორც მსოფლიოსთვის ასევე აშშ-სთვის.

თუმცა, საინტერესო ცვლილება რეგიონის გეოპოლიტიკურ პროცესებში დაიწყო 2015 წლიდან. რეგიონში დაიწყო ე.წ. “Pink Tide”-ის დასასრული და ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში, მათ შორის რეგიონის სამ ძლიერ სახელწმიფოში არგენტინაში, ბრაზილიასა და პერუში, რომლებიც რეალურად ქმნიან პოლიტიკურ ამინდს რეგიონში და მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ, ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ მემარჯვენე და პრო-ამერიკული ძალები.

“Pink Tide”-ის დასასრული, რომელიც გამოხატული იყო ლათინურ ამერიკაში და არგენტინაში პერონისტთა ხელისუფლების სათავეში ყოფნით 2001-2015 წლებში, ვენესუელაში უგო ჩავესის არჩევით 1999 წელს და სოციალისტური პარტიის ხელისუფლების სათავეში ყოფნით, ბრაზილიაში მუშათა პარტიის მმართველობით 2003 წლიდან, ევო მორალესით და სოციალიზმის მოძრაობით ბოლივიაში 2006 წლიდან და რაფაელ კორეას მმართველობით ეკვადორში 2007 წლიდან, დაიწყო 2015 წელს არგენტინაში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნებით, რომელშიც გაიმარჯვა მაურისიო მაკრიმ (BBC, 2015). ამ უკანასკნელმა მნიშვნელოვნად შეცვალა არგენტინის საგარეო პოლიტიკა მემარჯვენეობისკენ და დაიწყო პრო-ამერიკული პოლიტიკის გატარება, კერძოდ რეგიონის ქვეყნებს შესთავაზა სანქციები დაეწესებინათ ნიკოლას მადუროს რეჟიმის წინააღმდეგ ადამიანის უფლებების დარღვევების გამო და ქვეყნის მერკოსურიდან გარიცხვის ინიციატივითაც გამოდიოდა. ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას მან განაცხადა, რომ ეს იყო ახალი ეპოქის დასაწყისი და არგენტინა უნდა

დაბრუნებულიყო მსოფლიო რუკაზე, გარდა ამისა განაცხადა რომ გადახედავდა არგენტინის ურთიერთობებს ირანთან (The Guardian, 2015). არგენტინამ მაკრის პრეზიდენტობის დროს ხელი მოაწერა „ლიმას დეკლარაციას“, რომელმაც დაარსა „ლიმას ჯგუფი“, სუპრანაციონალური ორგანო ქვეყნებისა, რომელთაც ვენესუელა ცნეს როგორც დიქტატორი ქვეყანა და განაცხადეს რომ ეცდებიან ქვეყანაში დემოკრატიის დამკვიდრების წახალისებას (Peruviantimes, 2017). ობამას გარდა, რომელმაც მაკრის და მის რეფორმებს სამაგალითო უწოდა სხვა ლათინური ამერიკის ქვეყნებისთვის (Reuters, 2017), მან ახლო ურთიერთობები დაამყარა პრეზიდენტ ტრამპთან, ამ უკანასკნელის მსგავსად გაამკაცრა საიმიგრაციო პოლიტიკა და განაცხადა, რომ არალეგალთა შემოდინება არგენტინაში იწვევს კრიმინალის ზრდას (NYT, 2017).

“Pink Tide”-ის დასასრულის მნიშვნელოვანი გამოხატულება იყო ბრაზილიაში 2016 წელს დილმა რუსეფის იმპიჩმენტი, რომელიც არამხოლოდ ნიშნავდა მუშათა პარტიის დასასრულს ბრაზილიაში, არამედ „Pink Tide”-ის მნიშვნელოვან შესუსტებას ლათინურ ამერიკაში, რადგან ბრაზილია დილმა რუსეფის და ლუის უნასიო ლულა და სილვას პრეზიდენტობის დროს, ამ მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგელი იყო. გარდა ამისა, ბოლივიაში ევო მორალესმა 2016 წლის თებერვალში ჩატარებული რეფერენდუმით ვერ მიიღო მხარდაჭერა, რომ მეოთხე ვადით აერჩიათ პრეზიდენტად. ასევე, პერუში 2016 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა პედრო პაბლო კუჩინსკიმ, რომელმაც პრეზიდენტობის პერიოდში მწვავედ გაარკიტიკა ვენესუელა იქ არსებული მდგომარეობის გამო. ხოლო 2016 წლის მონაცემებით, “Pink Tide”-ის სახელმწიფოები, რომელთა რაოდენობაც 15 ქვეყანას ითვლიდა, მხოლო 8 შემორჩა (Yahoo, 2016).

როგორც ზემოთ დავინახეთ, ლათინური ამერიკის რეგიონში 2015 წლიდან დაიწყო გარდაქმნის პროცესი. კერძოდ დასასრულს მიუახლოვდა ე.წ. “Pink Tide“, პროცესი რომელიც 1998 წელს დაიწყო უგო ჩავესის ხელისუფლების სათავეში მოსვლით, და კულმინაცია იყო ლათინური ამერიკის რეგიონის 15 ქვეყნის ჩართვა ამ პროცესში, რომლის შესახებაც დეტალურად ზემოთ უკვე ვისაუბრე. 2015 წლიდან კი, შეიძლება ითქვას არგენტინაში მაურისიო მაკრის არჩევის შემდეგ, რეგიონის ქვეყნების ხელისუფლების

სათავეში მოვიდნენ ძალები, რომლებიც მემარჯვენე იდეოლოგიის გამტარებლები არიან და პრო-ამერიკულ კურსს ატარებენ. შესაბამისად, ერთი შეხედვით შეიქმნა მოლოდინი, რომ რეგიონში ისეთი ორგანიზაციები, როგორიც არის CELAC-ი, რომელიც ცდილობდა რეგიონში აშშ-ის გავლენის დაბალანსებას, აქტუალურობას თუ არ დაკარგავდა, ისე კრიტიკულად არ იქნებოდა განწყობილი ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ, როგორც ეს აქამდე იყო.

ჩემს კვლევაში ვისაუბრებ იმაზე, თუ რა შეიცვალა ლათინური ამერიკის რეგიონის საგარეო პოლიტიკაში, ან თუ შეიცვალა, მას შემდეგ რაც რეგიონის წამყვანი ქვეყნების ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ მემარჯვენე ძალები, რომელთაც პრო-ამერიკული კურსის გატარება დაიწყეს. აღნიშნულს შევისწავლი ორგანიზაცია CELAC-ზე დაკვირვების შედეგად, რადგან ეს არის ორგანიზაცია, რომელიც როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით დღესდღეობით რეგიონში ყველაზე მძლავრად არის წარმოჩენილი და ყველაზე მეტად ქმედითუნარიანია ლათინური ამერიკის რეგიონის გაერთიანებისა და საერთაშორისო არენაზე წარმოჩენის თვალსაზრისით. გარდა ამისა, გამომდინარე იქიდან, რომ კვლევის მიზანი არის რეგიონის პოლიტიკის მიმართება ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ამ ორგანიზაციაზე დაკვირვება მოგვცემს საშუალებას გავაანალიზოთ თუ რამდენად განიცადა ცვლილება ლათინური ამერიკის რეგიონის საგარეო პოლიტიკამ ამერიკის შეერთებულ შტატებთან მიმართებით. თუმცა საინტერესოა ის გარემოება, რომ 2015 წლიდან მიმდინარე პროცესების კვალდაკვალ, სადაც იგულისხმება რეგიონის ისტორიაში ახალი ეპოქის დასაწყისი და „Pink Tide”-ის დასასრული, იყო მოლოდინი რომ CELAC-ის პოლიტიკა ამერიკის შეერთებული შტატებისადმი იმდენად კრიტიკული არ იქნებოდა, როგორც ეს მანამდე იყო და ორგანიზაცია, რომელიც აქტიურად თანამშრომლობდა რუსეთთან და თანმხვედრი პოზიცია ჰქონდა რუსეთთან, თუნდაც სირიის კონფლიქტთან დაკავშირებით, პოზიციას შეიცვლიდა.

თუმცა მოლოდინი შეიძლება ითქვას რომ არ გამართლდა. CELAC-მა ბოლო, მე-5 სამიტი გამართა 2017 წლის იანვარში, დომინიკის რესპუბლიკაში, სადაც მიიღეს რეზოლუცია რომელშიც:

1) ხაზგასმით აღნიშნეს ერთგულება მულტილატერალიზმისა და პრინციპებისა, რომელიც გათვალისწინებულია გაეროს ქარტიისა და საერთაშორისო სამართლის მიერ, მათ შორის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების შესახებ.
2) კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღინიშნა ლათინური ამერიკისა და კარიბიზის ზღვის აუზის რეგიონის მშვიდობის ზონად გამოცხადების შესახებ.
3) ერთგულნი დარჩნენ 2016 წლის CELAC-ის მეოთხე სამიტზე მიღებული დეკლარაციისა, რომლის მიხედვითაც ამერიკამ კუბას უნდა დაუბრუნოს ოკუპირებული ტერიტორია - გუანტანამო.
4) მოუწოდეს ამერიკის შეერთებულ შტატებს დაუბრუნოს კუბელ ხალხს თავიანთი ტერიტორია, რომელიც ერთ საუკუნეზეა მეტია აშშ-ს ოკუპირებული აქვს.
5) მოუწოდეს ამერიკის შეერთებულ შტატებს ურთიერთობების ნორმალიზებისკენ კუბის რესპუბლიკასთან, რომელიც მნიშვნელოვან კონტრიბუციას შეიტანს რეგიონის სტაბილურობასა და განვითარებაში.
6) აღნიშნეს რომ ტერიტორიის დაბრუნება კუბელი ხალხისთვის უნდა მოხდეს ორმხრივი დიალოგის ფარგლებში, რომელიც შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო სამართლის ნორმებთან.

გარდა ზემოთ აღნიშნული პუნქტებისა, სამიტის მონაწილე ქვეყნებმა დეკლარაციაში კიდევ ერთხელ დაგმეს აშშ-ის სანქციები კუბის რესპუბლიკაზე, რომელსაც საერთაშორისო სამართლით არ არის ლეგიტიმური, რადგან უზღუდავს იქ მყოფ მოსახლეობას თავიანთი სურვილისა და შეხედულების შესაბამისად განსაზღვრონ თავიანთი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური სისტემის მომავალი. ასევე, იმავე სამიტის დეკლარაციაში ამერიკის შეერთებულ შტატებს შეახსენეს, რომ 1992 წლიდან, გაერომ მიიღო 25 რეზოლუცია, მათ შორის ბოლოს 2016 წლის 26 ოქტომბერს, რომელსაც მხარი დაუჭირა

გაეროს 191-მა წევრმა, რომ მოხდეს ურთიერთობების ნორმალიზება კუბასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, და აშშ-მა მოხსნას კუბის ბლოკადა, რომელიც კუბის მოსახლეობას მძიმე ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაში აგდებს (Caribflame, 2017)

ასევე, ამავე სამიტის ფარგლებში, ქვეყნებმა სოლიდარობა გამოხატეს ვენესუელასადმი, და მოუწოდეს აშშ-ს გააუქმოს ბრძანება, რომელშიც აშშ-მა სამხრეთ ამერიკულ სახელწმიფოებს „უჩვეულო და საგანგებო საფრთხის შემცველი“ უწოდა. აგრეთვე მოუწოდეს ამერიკის შეერთებულ შტატებს შეწყვიტოს დესტაბილიზაციის მცდელობები დემოკრატიულად არჩეული ბოლივარული მთავრობის წინააღმდეგ. ამასთანავე სამიტზე მოითხოვეს ნატო-ს წარმომადგენლობის გასვლა რეგიონიდან და როგორც უკვე აღვნიშნე, მოუწოდეს ამერიკის შეერთებულ შტატებს ურთიერთობების ნორმალიზებისკენ კუბასთან, რაც უნდა დაიწყოს ბლოკადის მოხსნით (venezuelanalysis, 2017).

შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზაცია CELAC-ი, რომელიც უგო ჩავესმა ჩამოაყალიბა რეგიონალური სტაბილურობისა და გაძლიერებისთვის ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ჩარევის გარეშე, მე-5 სამიტის ფარგლებში მწვავე განცხადებებით გამოირჩეოდა ვაშინგტონისადმი, და მთელი სამიტის განმავლობაში, მიუხედავად იმისა რომ განხილული იყო სოციალური საკითხები და სხვა მნიშვნელოვანი თემები, თეთრი სახლის კრიტიკა უფრო მძაფრად წარმოჩინდა სამიტის ფარგლებში, როგორც მიღებულ დეკლარაციებში, ასევე განცხადებებშიც.

შესაბამისად ნაშრომის საკვლევ კითხვას წარმოადგენს, თუ რატომ არ განიცადა ცვლილება CELAC-ის ანტიამერიკულმა საგარეო პოლიტიკამ მაშინ, როდესაც გაერთიანებაში შემავალი რეგიონის სამი ძლიერი სახელმწიფოს, კერძოდ, 2015 წელს არგენტინის, 2016 წელს პერუს და ასევე 2016 წელს ბრაზილიის სათავეში პრო-ამერიკული ძალები მოვიდნენ?

ნაშრომის ჰიპოთეზა მდგომარეობს შემდეგში: რეგიონული გაერთიანების საგარეო პოლიტიკური კურსის შემუშავებისას გადაწყვეტილებები კოლექტიურ დონეზე მიიღება,

რომლის დროსაც ქვეყნები მხედველობაში იღებენ არა ინდივიდუალურ, არამედ კოლექტიურად შექმნილ ფონს. შესაბამისად, არგენტინაში 2015, ბრაზილიაში 2016 და პერუში 2016 წელს ხელისუფლებაში მოსული პროამერიკული ძალების მიუხედავად, CELAC-ის ანტიამერიკული პოლიტიკის წინააღმდეგ არ მიდიან, რადგან გაერთიანების წევრთა რიგებში ანტიამერიკული განწყობა კვლავ დომინირებს.

ჩემი მიზანია ავხსნა, თუ რატომ არ იცვლება რეგიონის და CELAC-ის საგარეო პოლიტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებთან მიმართებაში, მას შემდეგ რაც წამყვანი ქვეყნების ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ მემარჯვენე ძალები, რომლებიც პრო-ამერიკულ პოლიტიკას ატარებენ.

აღნიშნული კვლევის ჩატარების ფარგლებში მიმოვიხილავ ამ საკითხის გარშემო არსებულ ლიტერატურას. კვლევაში გამოვიყენებ თვისობრივი კვლევის მეთოდებს. კვლევის ფარგლებში ასევე გამოყენებული იქნება კონტენტ ანალიზი, რომლის მიხედვითაც გავეცნობი სამიტების ოფიციალურ დეკლარაციებს, დოკუმენტებს, ინტერვიუებს და შევადარებ ქვეყნების პოზიციებს, თუ რა ურთიერთობები აქვთ ამერიკის შეერთებულ შტატებთან და შემდეგ რა პოზიცია აქვს CELAC-ს, რომელიც ცალსახად ანტი-ამერიკულ პოზიციას ატარებს რეგიონში და ზოგადად რეგიონიც, როგორც ჩაფიქრებული იყო CELAC-ის შექმნისას, რომ იგი უნდა ყოფილიყო დამბალანსებელი აშშ-ის გავლენისა რეგიონში, ისევ იგივე პოლიტიკის გამტარებელია, მიუხედავად წამყვანი ქვეყნების სათავეში მემარჯვენე პრო-ამერიკული მთავრობების მოსვლისა. ხოლო ქვეყნებისა და CELAC-ის პოზიციის თეორიული კუთხით ასახსნელად გამოვიყენებ „Groupthink“-ის კონცეფციას, რომელიც საერთაშორისო ურთერთობების ერთ-ერთი ანალიტიკური კონცეფციაა.

ტერმინების განმარტება

მონროს დოქტრინა - 1823 წელს აშშ-ის პრეზიდენტმა მიმართა კონგრესს სიტყვით, რომელიც მოგვიანებით ცნობილი გახდა როგორც მონროს დოქტრინა. ამ გამოსვლით ჯეიმს მონრომ გავლენის სფეროები გამოაცხადა და აღნიშნა, რომ დასავლეთ ნახევარსფეროს საქმიანობაში ევროპული სახელმწიფოების ჩარევას ამერიკის შეერთებული შტატები განიხილავდა როგორც საფრთხეს საკუთარი ეროვნული უსაფრთხოებისთვის. აღნიშნული მიმართვით, ამერიკის კონტინენტი უნდა ყოფილიყო თავისუფალი, მშვიდობიანი და არ უნდა ყოფილიყო კოლონიალური ჩარევა ევროპული ძალებისა აღნიშნულ ტერიტორიაზე (Sexton, 2012).

Pink Tide - ასევე მოიხსენიებენ როგორც მემარცხენე ან რადიკალურ სოციალურ დემოკრატიულ მთავრობებს ლათინურ ამერიკაში. ტერმინი პირველად გამოჩდნა ვენესუელაში უგო ჩავესის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდგომ 1998 წელს, რომელსაც ასევე მოყვა მსგავსი იდეოლოგიის მთავრობების არჩევა ჩილეში, ბრაზილიაში, არგენტინაში, ურუგვაიში, ბოლივიაში, ნიკარაგუაში, ეკვადორში და გვატემალაში, რომელთაც მოიხსენიებდნენ როგორც “Pink Tide” მთავრობებს. ეს მთავრობები ცდილობდნენ ყოფილიყვნენ გაერთიანებულნი რეგიონში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც ისტორიულად რეგიონში ჰეგემონის როლს თამაშობდა (Oxford Reference, 2019).

CELAC - ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს კარიბის ზღვის აუზისა და ლათინური ამერიკის რეგიონის ყველა ქვეყანას. აღნიშნული ბლოკი აერთიანებს რეგიონის 33 ქვეყანას და არის რეგიონის საერთო ხმა პოლიტიკების შემუშავებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მოლაპარაკებების შემთხვევაში. იგი შეიქმნა რათა ხელი შეუწყოს რეგიონული ინტეგრაციის პროცესს და რეგიონში პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ მრავალფეროვნებას (celacinternational, 2019).

ლიტერატურული მიმოხილვა

ნაშრომის ამ ნაწილში მიმოვიხილავ საკითხის გარშემო არსებულ ლიტერატურას. განსაკუთრებით, ყურადღება იქნება გამახვილებული ლიტერატურაზე, რომელიც შეეხება ლათინური ამერიკისა და აშშ-ის ურთიერთობებს CELAC-ის დაარსებიდან, ანუ 2010 წლიდან კვლევისთვის საინტერესო 2017 წლამდე, და CELAC-ის როლზე ამ ურთიერთობების ფარგლებში. ასევე მიმოვიხილავ ქვეყნების ხელისუფლების სათავეში რეჟიმების ცვლილებისა და "Pink Tide"-ის დასასრულის შესახებ შექმნილ ლიტერატურას, რაც საინტერესო იქნება კვლევით დაინტერესებული მკითხველისთვის, საკითხის უკეთ გასაგებად.

თავდაპირველად დავიწყებ 2010 წელს, თუ როგორ ხედავდა ამერიკის შეერთებული შტატები ლათინური ამერიკის რეგიონს და რა სახის თანამშრომლობას აპირებდა ამ რეგიონთან მომავალში. აღნიშნულის შესახებ საინტერესოა მიმოვიხილოთ ლათინური ამერიკის პროგრამის დირექტორის სინტია არნსონის გამოსვლა საგარეო კომიტეტის სხდომაზე სენატში, სადაც იგი საუბრობს დასავლეთ ნახევარსფეროსა და შესაბამისად ლათინური ამერიკის რეგიონის შესახებ, თუ როგორ ხედავს აღნიშნულ რეგიონს ამერიკის შეერთებული შტატები.

კომიტეტზე სიტყვის გამოსვლისას იგი იწყებს ისტორიის მიმოხილვით, და ამბობს, რომ თანდათან უფრო რთული ხდება ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ზოგადად რეგიონში ერთი სახის პოლიტიკის განხორციელება ყველა ქვეყანასთან მიმართებით, რადგან განსხვავება როგორც ქვეყნებს, ასევე სუბ-რეგიონებს შორის თანდათან უფრო იზრდება და ღრმავდება. ეს განსხვავება კი ძირითადად თავს იჩენს სამ ნაწილში: ეკონომიკურ პარამეტრებში როგორიცაა სიმდიდრის გადანაწილება, ადამიანური კაპიტალი და სოციალური ფონი; დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება და წარმომადგენლობა; და ურთიერთობები ამერიკის შეერთებულ შტატებთან (Arnson, 2010).

ამავე გამოსვლაში, რეგიონში განიხილავს რამდენიმე ქვეყანას, და ვენესუელას, კოლუმბიას, ბოლივიას ეკვადორსა და ნიკარაგუას ახასიათებს როგორც ავტოკრატიულს,

და ავტორიტარიზმს განიხილავს როგორც ამ ქვეყნებისთვის დამახასიათებელს (Arnson, 2010).

აღნიშნულ გამოსვლაში ასევე კარგად ჩანს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კარგად ხედავს, რომ რეგიონში დიდი ცვლილებები მიმდინარეობს. გამოსვლაში ის ასევე ახსენებს, რომ რეგიონში ვენესუელამ და სხვა ქვეყნებმა დაიწყეს ურთიერთოებების გაღრმავება ამერიკის შეერთებული შტატების გარდა სხვა ქვეყნებთან, რითაც ცდილობენ აშშ-ის გავლენის შემცირებას რეგიონში (Arnson, 2010), და აღსანიშნავია რომ ეს სწორედ იმ პერიოდში ხდება როდესაც CELAC-ი ჩამოაყალიბეს რეგიონის ქვეყნებმა.

ის რომ რეგიონს, ამერიკის შეერთებული შტატები და მოცემულ შემთხვევაში ობამას ადმინისტრაცია განიხილავს, როგორც პარტნიორს, უდავოა. თუმცა გამოსვლაში არნსონი, სავაჭრო ურთიერთობების სტაბილურობასა და დინამიურობას ეჭვქვეშ აყენებს, რადგან გლობალიზაციის პირობებში რეგიონში დაწყებულია დებატები აღნიშნულის შესახებ. ასევე საინტერესოა, რომ იგივე გამოსვლაში არნსონი ძირითადად ყურადღებას თანამშრომლობის ფარგლებში ამახვილებს ტრეფიკინგისა და ნარკოტიკებით ვაჭრობაზე და დასძენს, რომ აღნიშნული მიმართულებით თანამშრომლობა უნდა გაძლიერდეს და გაღრმავდეს, რადგან მოჰყავს სტატისტიკური ინფორმაცია რომლის მიხედვითაც ყოველწლიურად ნარკოტიკების მოხმარება აშშ-ში იზრდება და გამოსვლის დანარჩენ ნაწილში სწორედ ამ კუთხით თანამშრომლობის გაღრმავებაზეა საუბარი (Arnson, 2010). არნსონის ეს გამოსვლა სენატის კომიტეტის სხდომაზე იმითაც არის საინტერესო, რომ ხაზს უსვამს თუ რა სახის პრიორიტეტები ჰქონდა იმ დროისთვის აშშ-ს რეგიონისადმი, რომელიც ძირითადად შემოფარგლული იყო მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობებით, რომლის მომავალიც გაურკვეველი იყო და ასევე ხასიათდებოდა თანამშრომლობით ტრეფიკინგისა და ნარკოტიკებით ვაჭრობის შესახებ.

ლათინური ამერიკის ქვეყნების მოლოდინებზე, მას შემდეგ რაც ბარაკ ობამა გახდა პრეზიდენტი საინტერესო ნაშრომს გვთავაზობს მარკ ვეისბროთი, რომელიც თავის სტატიაში „Commentary: Obama's Latin America Policy: Continuity Without Change“, ამბობს,

რომ ლათინურ ამერიკაში, მას შემდეგ რაც თვალი ადევნეს ობამას წინასაარჩევნო კამპანიას და 2008 წლის არჩევნების შემდეგ, გაუჩნდათ იმედი, რომ ვაშინგტონში მოვიდა ხელისუფლება, რომელიც ლათინური ამერიკის რეგიონისთვის წარმატებულ პოლიტიკას გაატარებდა და პოზიტიური მოლოდინები გაჩნდა. თუმცა, სიტუაცია მალევე შეიცვალა და ლიდერთა მოლოდინები არ გამართლდა. კერძოდ, ჰონდურასში მომხდარი გადატრიალების შედეგად, რომლის შედეგადაც მოქმედი პრეზიდენტი ჩამოაგდეს და ქვეყნიდან გააძევეს, ლათინური ამერიკის წამყვანი ქვეყნების პირველი პირები ყველაფერს მოელოდნენ გარდა იმისა რაც რეალურად აშშ-მა შტატებმა გააკეთა, კერძოდ მხარი დაუჭირა ახალ მთავრობას და წარმატების მიღწევაში დახმარება აღუქვა. უფრო მეტიც, ობამამ არათუ არ დაგმო აღნიშნული სამხედრო გადატრიალება, არამედ ახალი რეჟიმის მხარდაჭერის კვალდაკვალ დაუპირისპირდა მთელ რეგიონს, რომელიც ჰონდურასას ახლად არჩეულ პრეზიდენტს არ სცნობდა. აღნიშნული, ავტორის აზრით, არის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რომელმაც კიდევ ერთხელ დაანახა რეგიონის ქვეყნებს რომ მათი მოლოდინი ობამას პრეზიდენტობის შესახებ და ცვლილებებზე საგარეო პოლიტიკაში არ გამართლდა (Weisbrot, 2011).

CELAC-ის მიზნებზე და მის ურთიერთობაზე ამერიკის შეერთებულ შტატებთან საინტერესო აზრს აყალიბებს გრეგორი ვიქსი, რომელიც თავის წიგნში „U.S. and Latin American Relations" საუბრობს CELAC-ის მიზნებსა დ ამოცანებზე. აღნიშნულ ორგანიზაციაზე საუბრისას იგი CELAC-ს ადარებს UNASUR-ს, თუმცა ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, CELAC-ი მოიცავს რეგიონის ყველა ქვეყანას, ჯამში 33-ს. ის ასევე ამბობს, რომ ორგანიზაცია არის უფრო ინკლუზიური და ცალსახად ჰემისფერული. როგორც გრეგორი ვიქსი ამბობს, დაარსების დღიდანვე CELAC-მა საკმაოდ მალე შეძლო ურთიერთობების დამყარება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონთან და დაამყარა ფორმალური ურთიერთობები როგორც ჩინეთთან ისე ევროკავშირთან, რომელიც მოიცავს რეგულარულ შეხვედრებს, დიალოგს, კვლევების ერთიანად წარმართვას და ა.შ. (Weeks, 2015).

ვიქსი ასევე CELAC-ს განიხილავს, როგორც "Rio Group"-ის შემცვლელს, რომლის შექმნის დროსაც 1986 წელს, მის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ამერიკის შეერთებული შტატების

საგარეო პოლიტიკის დაბალანსება ლათინურ ამერიკაში და საერთო კოორდინირება იმ საფრთხეებსა და გამოწვევებზე, რომლის წინაშეც რეგიონი შეიძლება დადგეს, და როგორც გრეგორი ვიქსი აცხადებს CELAC-იც სწორედ ამ ჩარჩოში მოქმედებს. კრიტიკოსები ამერიკის შეერთებულ შტატებში CELAC-ს განიხილავენ როგორც მშვიდობის დამამყარებელ ორგანიზაციას და ახასიათებენ როგორც ნიშანს ამერიკული გავლენის შესუსტებისა ამ რეგიონში (Weeks, 2015).

ასევე საინტერესოა მიმოვიხილოთ ლიტერატურა, რომელიც შექმნილია "Pink Tide"-ის დასასრულის შესახებ და თუ რა რელსებზე გადადის ლათინური ამერიკის რეგიონის საგარეო პოლიტიკა.

ამ მხრივ საინტერესოა მიმოვიხილოთ ომარ ენგარნასიონის სტატია „The Rise and Fall of the Latin American Left", რომელშიც ავტორი განიხილავს მემარჯვენე პრო-ამერიკული ძალების მოსვლას ლათინური ამერიკის რეგიონის ქვეყნების ხელისუფლების სათავეში.

ენგარნასიონი თავის სტატიაში აღნიშნავს, რომ 2017 წლის ჩილეს საპრეზიდენტო არჩევნებში სებასტიან პინერასა და მისი პარტიის გამარჯვება, ორმაგად მნიშვნელოვანია ლათინური ამერიკის რეგიონისთვის. ავტორის აზრით, მას შემდეგ რაც, მემარჯვენე ძალებმა ხელისუფლება ჩაიგდეს არგენტინაში 2015, ხოლო ბრაზილიაში 2016 წელს, პინერას გამარჯვება რეგიონის „მარჯვნივ" შემობრუნებას ნიშნავს და პირველად 1980-იანებიდან, როდესაც სამხრეთ ამერიკის ქვეყნების უმრავლესობა დიქტატორთა მიერ იმართებოდა, კონტინენტის სამი ლიდერი ქვეყნის მართვის სადავეები მემარჯვენე ლიდერთა ხელშია (Encarnacion, 2018).

"Pink Tide"-ზე საუბრისას ავტორი აღნიშნავს, რომ 2000-იან წლებში, ამ პროცესმა მოიცვა ისეთი ქვეყნები როგორიცაა, ვენესუელა, არგენტინა, ბრაზილია, ჩილე, ურუგვაი, პარაგვაი, ეკვადორი და ბოლივია, რეგიონის ქვეყნების სამი-მეოთხედი, რაც ნიშნავდა რომ 350 მილიონი ადამიანი მემარცხენე ლიდერის მმართველობის ქვეშ იყო მოქცეული. თუმცა ავტორის მოსაზრებით საერთოდ არ არის გასაკვირი, რომ ამ პროცესმა დასასრულს მიაღწია. ჯერ კიდევ, ჩილეს საპრეზიდენტო არჩევნებამდე, მექსიკელმა პოლიტოლოგმა

ხორხე კასტანედამ „Pink Tide“-ი მოიხსენია როგორც წარსული და ამაში მემარცხენე ლიდერებს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით. უგო ჩავესი, რომელიც ამ პროცესის ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი ფიგურაა, ჩაანაცვლა ნიკოლას მადურომ, რომელსაც ბრძოლა უხდება ხელისუფლების შესანარჩუნებლად და სახელმწიფო ინსტიტუტებს იყენებს როგორც „შთაგონების მოდელს“. გარდა ამისა, ეკონომიკურმა სიდუხჭირემ თავისი როლი ითამაშა. თვით ბრაზილიაც კი, რომელიც რეგიონში ერთ-ერთი ლიდერი იყო ეკონომიკური კუთხით, განიცადა ერთ-ერთი ყველაზე დიდი რეგრესი ეკონომიკური თვალსაზრისით, რამაც გამოიწვია საპროტესტო ტალღა მოსახლეობაში და ხელისუფლების შენარჩუნება მუშათა პარტიამ ვერ მოახერხა, რაც დასრულდა დილმა რუსეფის იმპიჩმენტით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი როლი შეიტანა ამ ყველაფერში “Pink Tide”-ის პროცესში ჩართული ქვეყნების მემარცხენე ლიდერების გახვევამ კორუფციულ სკანდალში, რომელთა წინააღმდეგაც ფულის გათეთრებისა და ქრთამის აღების ბრალდებით არაერთი საქმე არის აღძრული (Encarnacion, 2018).

ხორხე დომინგესი და ანა კოვარუბიასი, ასევე საინტერესოდ განხილვას გვთავაზობენ CELAC-ის ფარგლებში ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობაზე. ურთიერთდამოკიდებულებისა და გლობალიზაციის როლის ზრდის პარალელურად, რომლებიც ცალსახად მოქმედებენ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაზე ლათინური ამერიკის რეგიონისადმი, რეგიონში ისეთი ორგანიზაციის შექმნა როგორიც CELAC არის ცალსახად მიუთითებს რეგიონის ქვეყნების სურვილზე, რომ ჰქონდეთ მეტი ავტონომია როგორც ეკონომიკურ ისე პოლიტიკურ ჭრილში. სწორედ ამიტომ, ავტორთა აზრით, CELAC-ის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, რომელიც მულტილატერალური მექანიზმია, შეიძლება ვუწოდოთ ანტი-ჰეგემონური მულტილატერალიზმი, რომელიც მიმართული ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ. აღნიშნული მიზნად ისახავს, რომ საერთო კოორდინაციით მინიმუმამდე იქნას შემცირებული ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევა როგორც ქვეყნების შიდა საქმეებში, ასევე ქვეყნებს შორის ურთიერთობებში ამერიკის შეერთებული შტატები არ უნდა თამაშობდეს გადამწყვეტ როლს, არამედ თვითონ ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნები. ამასთანავე ორგანიზაცია,

მიზნად ისახავს რომ კონფლიქტები, რომლებიც რეგიონში მიმდინარეობს გადაიჭრას ადგილობრივ დონეზე გარე აქტორთა ჩართულობის გარეშე, უპირველეს ყოვილსა რა თქმა უნდა საუბარია ამერიკის შეერთებულ შტატებზე. ასევე, ავტორთა აზრით არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ CELAC-ი არის „რიო ჯგუფის“ ჩამმანაცვლებელი ორგანიზაცია, ეს უკანასკნელი კი, იყო მულტილატერალური პლატფორმა შექმნილი 1986 წელს, სწორედ იმ მიზნით რომ ლათინურ ამერიკაში არსებულ პრობლემებზე უნდა იმსჯელონ და გადაწყვიტონ საკუთრივ რეგიონში, გარე აქტორთა ჩართულობის გარეშე, გარე აქტორში კი რა თქმა უნდა იგულისხმებოდა ამერიკის შეერთებული შტატები, შესაბამისად გასაკვირი არ არის, ორგანიზაცია, რომელიც რიო ჯგუფის ჩამნაცვლებლად განიხილება, ანტი-ამერიკულ ხასიათს ატარებს (Dominguez, Covvarubias, 2014).

ისტორიული კონტექსტი

იმისთვის რომ უფრო ადვილი აღსაქმელი იყოს თუ როგორ აღიქმება ამერიკის შეერთებული შტატები ლათინური ამერიკის რეგიონის ქვეყნებისთვის იქ მცხოვრები მოსახლეობისთვის და პირიქით, აუცილებელია მცირედით მიმოვიხილოთ ის ისტორიული კონტექსტი, რაც ამ ომ რეგიონს ერთმანეთთან აკავშირებს.

1. მონროს დოქტრინიდან 1945 წლამდე

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ლათინური ამერიკის ერები აღმოცენდნენ რევოლუციების ერაში, რომელიც გაჩაღდა მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში. ამ ტერიტორიაზე დასახლებული საზოგადოება, რომელიც შემდგომში სამუდამოდ დაუკავშირდებოდა ერთმანეთს, ერთმანეთის შესახებ არაფერი არ იცოდნენ. გარდა მექსიკისა, აქ მცხოვრები მოსახლეობა ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ მათი მომავლაი ბედი და იღბალი მომავალში სამუდამოდ იქნებოდა გადაჯაჭვული ამერიკის შეერთებულ შტატებთან (O'brien, 2007).

ორი რეგიონის ურთიერთობებში განსაკუთრებული როლი ითამაშა მეცხრამეტე საუკუნეში მიმდინარე მოვლენებმა, რომელიც ტურბულენტობით ხასიათდებოდა, თუმცა სწორედ ეს ის პერიოდია, როდესაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ოფიციალურად გამოაცხადა ლათინური ამერიკა, როგორც თავისი გავლენის სფერო. აღნიშნული უკავშირდება ცნობილ მონროს დოქტრინას, რომელიც დაკავშირებულია აშშ-ის პრეზიდენტის ჯეიმს მონროს სახელთან. სანამ უშუალოდ ამ დოქტრინის არსზე და მიზეზებზე გადავალთ, აუცილებელია აღინიშნოს, რომ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა ლათინური ამერიკის რეგიონისამდი ძირითადად მიმართული იყო ევროპული ძალების ძალაუფლებისა და გავლენის შემცირებისკენ ამ რეგიონში. სწორედ ამას ემსახურებოდა მონროს დოქტრინა, რომელმაც გავლენის

სფეროებად დაჰყო მსოფლიო, და ევროპულ სახელმწიფოებს აუკრძალა ჩარეულიყვნენ დასავლეთ ნახევარსფეროში მიმდინარე პროცესებში. აღსანიშნავია, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკა ამ პერიოდში იყო უნილატერალისტური, თუმცა არა იზოლაციონისტური. აშშ-ის ეს პოლიტიკა თანდათან უფრო აგრესიული და ინტერვენციონისტული გახდა, რომელშიც დიდი როლი ითამაშა „ბედის მანიფესტმა“. აშშ-ის ექსპანსიონისტურმა მისწრაფებებმა და საშინაო პოლიტიკამ სათავე დაუდო სამხედრო კონფლიქტებს ადგილობრივ მოსახლეობასთან რომლის გამოვლინებაც იყო ექსპედიციები მექსიკაში, კუბაში, და ცენტრალური ამერიკის რეგიონის ნაწილში. ამ პერიოდიდან მოყოლებული, მე-19 საუკუნის ბოლომდე, აშშ ცდილობდა დასავლეთ ნახევარსფეროში ჰეგემონის სტატუსი დაემკვიდრებინა, როგორც სამხედრო ისე პოლიტიკური თვალსაზრისით, რომელიც თავის მხრივ გამოვლინდა საზღვაო ინტერვენციებით კარიბის ზღვის აუზის რეგიონში და ბრაზილიამდეც კი მივიდა. ამ ყველაფრის ლოგიკური გაგრძელება კი რუზველტის დამატება იყო 1904 წელს, რომლის მიხედვითაც აშშ-ს უნდა ეთამაშა პოლიციელის როლი ამ რეგიონში, რაც მას სამხედრო ძალის გამოყენების ლეგიტიმურ უფლებას აძლევდა (Loveman, 2016).

ფრენსის ფუკუიამას აზრით, სწორედ ამ პერიოდში მოხდა დიდი ნაპრალის გაჩენა ორ რეგიონს შორის და ეს იყო გადამწყვეტი მომენტი რეგიონებს შორის განვითარების დონის. როგორც ის წერს, 1820-1870-იან წლებში ლათინური ამერიკისთვის კატასტროფული პერიოდი იყო, კერძოდ დროის ამ მონაკვეთში ამერიკის შეერთებული შტატების მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე იზრდებოდა 1.39 პროცენტით ყოველწლიურად, ხოლო ლათინური ამერიკის რეგიონისა კი 0.05 პროცენტით მცირდებოდა. ამ ყველაფერში განსაკუთრებული როლი ითამაშა ბრძოლამ დამოუკიდებლობისთვის, რომლისთვისაც ლათინუერი ამერიკის ქვეყნებს საკმაოდ დიდი მსხვერპლისა და ხარჯის გაწევა მოუხდათ, რათა სახლემწიფო ინსტიტუტები ჩამოეყალიბებინათ (Fukuyama, 2008).

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში მიუხედავად ყველაფრისა, ამერიკის შეერთებული შტატების გავლენა შორეულ და უფრო დიდი სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკებში შედარებით მცირე იყო, ვიდრე ცენტრალურ ამერიკასა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში.

ამას თავისი ეკონომიკური ახსნაც ჰქონდა, კერძოდ რკინიგზა, პორტები და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები ძირითადად ფინანსდებოდა ევროპული ქვეყნებიდან მომდინარე ინვესტიციებთი, კერძოდ ბრიტანეთისგან. ძირითადად საქონლის იმპორტი ხორციელდებოდა დიდი ბრიტანეთიდან და სხვა ევროპული სახელმწიფოებისგან. თუმცა, თანდათან ამერიკულმა კაპიტალმა დაიწყო გადინება სამხრეთის მიმართულებით და 1929 წლისთვის სამხრეთ ამერიკაში განხორციელებული ინვესტიციების წილი 59%-მდე გაიზარდა (Livingstone, 2009).

თუმცა მეორე მსოფლიო ომის დაწყების პერიოდში და მის განმავლობაში თანამშრომლობა ლათინურ ამერიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის საკმაოდ კონსტრუქციულობით ხასიათდებოდა. ამ პერიოდში სამხედრო ალიანსიც კი ჩამოყალიბდა აშშ-სა და ლათინურ ამერიკას შორის. ბუნებრივია ორივე მხარეს გარკვეული მიზანი ჰქონდა. კერძოდ, პენტაგონში მაღალჩინოსნებს სურდათ ლათინური ამერიკის რეგიონის პორტებისა და საჰაერო ბაზების გამოყენება და აპირებდნენ გაეძლიერებინათ რეგიონის სამხედრო პოტენციალი დასავლეთ ნახევარსფეროში, ნაცისტური გერმანის აგრესიის შემთხვევაში მათ წინააღმდეგ გამოსაყენებლად. ხოლო ლათინური ამერიკის ქვეყნების მთავრობებმა, ამისთვის სანაცვლოდ მიიღეს 450 მილიონი დოლარის სამხედრო დახმარება და 1941 წლისთვის აშშ-ის სამხედრო მისიები იმართებოდა თითქიმის რეგიონის ყველა ქვეყანაში. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ადგილობრივი ოფიცრები და სამხედრო წარმომადგენლები იგზავნებოდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში შესაბამის წვრთნებისთვის რათა უკეთ მომზადებულიყვნენ. სწორედ ამ ყველაფრის შედეგი იყო რომ ყველა ლათინური ამერიკის ქვეყანამ მეორე მსოფლიო ომში „ღერძის სახელმწიფოებს“ ომი გამოუცხადა, მათ შორის არგენტინამაც ოდნავ მოგვიანებით, რომელსაც ნაცისტური გერმანიის მიმართ სიმპატიები გააჩნდა (Livingstone, 2009).

2. *ურთიერთობები ცივის ომის პერიოდში*

ცივი ომის პერიოდს, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში, შეიძლება ითქვას რომ ლათინური ამერიკის რეგიონსა და აშშ-ს შორის ურთიერთობების მკვეთრი ცვლილება არ გამოუწვევია. ამერიკის შეერთებული შტატები ცივი ომის პერიოდამდე და მის შემდგომაც აქტიურად იბრძოდა პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო გავლენის მოსაპოვებლად კონტინენტზე და ცდილობდა არაკონტინენტური სახელმწიფოების ძალაუფლების შესუსტებას რეგიონში. თუმცა აღსანიშნავია, რომ იდეოლოგიურმა ფაქტორებმა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი როლი შეიძინა და 1940-იანი წლებიდან 1960 წლამდე სწორედ იდეოლოგია იყო მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი, რომლის ფარგლებშიც იქმნებოდა აშშ-ის საგარეო პოლიტიკა რეგიონში (Dominguez, 1999).

აღნიშნული პერიოდი ასევე განსაკუთრებული იყო აშშ-სა და ლათინური ამერიკის რეგიონისთვის ორი მნიშვნელოვანი მიზეზით. პირველი, ცივი ომი იყო პერიოდი როდესაც, იდეოლოგია გაცილებით მნიშვნელოვანი იყო ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ვიდრე ძალთა ბალანსი რეგიონში ან ეკონომიკური ინტერესები. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ სხვა პერიოდი აშშ-ის ისტორიაში არ მოიძებნება, როდესაც იდეოლოგია ამდენად განაპირობებდეს ქვეყნის საგარეო პოლიტიკას, მიუხედავად იმისა თუ რომელიც პარტიის წარმომადგენელი იყო ქვეყნის პრეზიდენტი და საგარეო პოლიტიკის წარმმართველი (Dominguez, 1999).

მეორე და მნიშვნელოვანი მომენტი, რაც დამახასიათებელი იყო ცივი ომის პერიოდში ამერიკისა და ლათინური ამერიკის პოლიტიკურ ურთიერთობებში დაკავშირებულია კუბასთან. კერძოდ, პირველად ცივი ომის პერიოდში აშშ-სა და ლათინური ამერიკის ურთიერთობების ისტორიაში რეგიონის ქვეყანა გახდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი მოწინააღმდეგის მოკავშირე. საუბარია კასტროს რეჟიმის დამყარებაზე კუბაზე. სწორედ ამ პერიოდიდან მოყოლებული რეგიონში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის ძირითად განმსაზღვრელი გახდა სწორედ პოლიტიკა კუბისადმი.

გამომდინარე იქიდან, რომ კუბა რეალურ საფრთხეს წარმოადგენდა ამერიკის შეერთებული შტატების უსაფრთხოებისადმი მისი იდეოლოგიური სხვაობისა და საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის გამო, ვაშინგტონს ჰქონდა რაციონალური მიზეზი რომ წარემართა პოლიტიკა რეგიონში, რომელიც მიმართული იქნებოდა კუბისა და შესაბამისად საბჭთა კავშირის გავლენის შესუტებისკენ (Dominguez, 1999).

სწორედ იდეოლოგიისა და მეორე კუბის გაჩენის შიშით იყო განპირობებული ის ინტერვენციები, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა დაზვერვამ ამ პერიოდში რეგიონში განახორციელა. ერთ-ერთი პირველი ასეთი სამხედრო ინტერვენცია იყო დომინიკის რესპუბლიკაში 1965 წელს, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 23 000 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე. ეს იყო პირველი სამხედრო მისია ლათინური ამერიკის კონტინენტზე ბოლო 40 წლის განმავლობაში. მიუხედავად სხვა ფაქტორებისა, ამ ოპერაციის მთავარი არსი მაინც იმაში მდგომარეობდა, რომ ლინდონ ჯონსონს და მის ადმინისტრაციას მეორე კუბის იდეა მიუღებლად მიაჩნდა და ყოველგვარ მსგავს გამოვლინებას ებრძოდნენ (Dominguez, 1999).

თითქმის მსგავსი სცენარით განვითარდა მოვლენები ჩილეს შემთხვევაში, სადაც 1970 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა სალვადორე ალიენდემ, რომლის კოალიციური პარტია ძირითადად ეფუძნებოდა სოციალისტურ და კომუნისტურ პარტიებს. სწორედ ამ იდეოლოგიათა განსხვავებულობის გამო, რიჩარდ ნიქსონმა მაშინვე დაიწყო როგორც აშკარა ისე ფარული გზებით ალიენდეს მთავრობის წინააღმდეგ შეტევა, მათ შორის საქმეში ჩართული იყო დაზვერვის სამსახურიც. (Dominguez, 1999). შეიძლება ითქვას, რომ ცივი ომის პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატები რეგიონში, ყველაფერს აკეთებდა რათა არ დაეშვა „მეორე კუბის“ ფენომენის წარმოქმნა და ყველანაირად ცდილობდა ანტი-კომუნისტური რიტორიკის გაძლიერებას და ხშირ შემთხვევაში ამ მიზნით, არც სამხედრო ოპერაციებს თუ გადატრიალებებს ერიდებოდა და ღიად უჭერდა მხარს.

3. ურთიერთობები ცივი ომის შემდგომ პერიოდში "Pink Tide"-ის დასაწყისამდე

ცივი ომის პერიოდის დასრულებამ და საბჭოთა კავშირის დაშლამ ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოს სუპერ ძალად და სახელმწიფოდ აქცია. აღნიშნულმა პროცესმა კიდევ ერთხელ დაადასტურა კაპიტალისტური სამყაროს - ლიბერალური საბაზრო ეკონომიკისა და პოლიტიკის დეტერმინატების უპირატესობა სოციალისტურის სისტემის დეტერმინატებზე. დიქტატორული რეჟიმების დამხობამ აღმოსავლეთის ბლოკში, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი დემოკრატიული სისტემის უპირატესობას (Livingstone, 2009).

აღსანიშნავია, რომ ცივი ომის დასრულების დროს, რომელიც ლათინურ ამერიკაში დიქტატორული რეჟიმების დამხობას დაემთხვა, რეგიონის ყველა ქვეყნის მთავრობა 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან მოყოლებული დემოკრატიული მმართველობით ხასიათდებოდა. გარდა ამისა საბჭოთა კავშირის დაშლამ საკმაოდ საინტერესო პროცესს დაუდო სათავე. კერძოდ, არამხოლოდ საბჭოთა ეკონომიკური პოლიტიკური და სამხედრო გავლენა შესუსტდა რეგიონში, არამედ დასავლეთ ევროპის ქვეყნებმაც ძირითად ყურადღება გადაიტანეს ლათინური ამერიკის რეგიონიდან და ძირითადად ორინტირებულნი იყვნენ ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების გაძლიერებით აღმოსავლეთ ევროპის ახლად დამოუკიდებელ ქვეყნებთნ. საინტერესო იყო კუბის შემთხვევაც, რომელმაც მიხვდა რომ პრო-მარქსისტული მიდგომა ამ ქვეყნისთვის მომგებიანი ვეღარ იქნებოდა. რეგიონის ქვეყნების რამდენიმე ლიდერმა კუბასთან გადაწყვიტა კონსტრუქციული დიალოგის წარმოება, თუმცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, აღნიშნული ფანჯარა მიიჩნია არა როგორც ურთიერთობების გაუმჯობესების შესაძლებლობის, არამედ პირიქით, გადაწყვიტა დამატებით სანქციები დაეკისრებინა და კიდევ უფრო დიდ წნეხში მოექცია კუბა, რომლის მიზანიც იყო იქ არსებული რეჟიმის შეცვლა და ფიდელ კასტროს ხელისუფლების დამხობა (Smith, 2005).

მიუხედავად იმისა, რომ კუბა კვლავ რჩებოდა შიდა პოლიტიკური დებატების საგნად, საბჭოთა კავშირის დაშლა ნიშნავდა, რომ ცენტრალურმა ამერიკამ მნიშვნელოვნად

დაკარგა მნიშვნელობა ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკაში. ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა ძირითადად ამ პერიოდში წარიმართებოდა ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და აზიის მიმართულები. ეკონომიკური ურთიერთობები ლათინურ ამერიკასთან თანდათან მცირდებოდა. ამ პერიოდიდან მოყოლებული, ლათინურმა ამერიკამ გარკვეულწიდან მნიშვნელობა დაკარგა ამერიკის შეერთებული შტატებისთვის და ორ რეგიონს შორის ურთიერთობების ძირითად განმაპირობებელი გახდა ნარკოტიკებით ვაჭრობა, დემოკრატია და ადამიანის უფლებები და მიგრაციის საკითხები (Smith, 2005). სამივე ეს საკითხი, რომელზეც ძირითადი ყურადღება მახვილდებოდა ვაშინგტონის მხრიდან არ ეხმიანებოდა ლათინური ამერიკის ქვეყნების მოლოდინებსა და გამოწვევებს. შესაბამისად პოლიტიკური თვალსაზრისით შეიძლება ითქვას რომ ლათინური ამერიკის რეგიონმა ამერიკის შეერთებული შტატებისთვის მნიშვნელობა დაკარგა. აღნიშნულმა სწორედ გამოიწვია რეგიონში ის პროცესები, რისი ლოგიკური გაგრძელებაც იყო “Pink Tide”-ის პროცესის დაწყება, რომლის საწყისადაც ითვლება უგო ჩავესის ხელისუფლებაში მოსვლა, რომელმაც თავისი პოპულისტური და პოლიტიკური ნიჭის წყალობით, საკუთარი იდეოლოგია რეგიონის სხვა ქვეყნებზე განავრცო, და როგორც ზემოთ უკვე ვახსენე ჯამში “Pink Tide”-ის პროცესმა რეგიონის თხუთმეტი ქვეყანა მოიცვა.

“Pink Tide”-ის დასასრული, მემარჯვენე მთავრობების გამოჩენა რეგიონში და მათი საგარეო პოლიტიკა

მამან სანამ უშუალოდ გადავალ ლათინური ამერიკის რეგიონში ახალი მთავრობების მოსვლაზე, მათი საგარეო პოლიტიკის განხილვაზე და CELAC-ის საგარეო პოლიტიკის ანალიზზე, აუცილებელია ვისაუბროთ, თუ როგორ დაიწყო 2010-იანი წლები რეგიონისთვის, პერიოდი როდესაც CELAC-ი ჩამოყალიბდა, რათა უფრო ნათელი იყოს, თუ რა უძღვოდა წინ “Pink Tide”-ის დასასრულის დასაწყისს.

2010 წელს, რეგიონი კვლავ განიცდიდა საქონლის წარმოების ბუმს და რეგიონის მომავალი ეკონომიკური და სოციალური ზრდა საკმაოდ წარმატებით უნდა გაგრძელებულიყო. თუმცა, ეს რეგიონი სწორედ თავისი ტურბულენტური ბუნებით არის ცნობილი და აღმასვლას ყოველთვის იმედგაცრუება მოჰყვება. თუმცა ამ ეტაპზე საერთოდ სხვა მოლოდინი იყო, რეგიონში მნიშვნელოვნად განვითარდა ტექნოლოგიები, მოსახლეობას ჰქონდა წვდომა სხვადასხვა ტექნოლოგიურ სიახლეებზე და შესაბამისად იყო მოლოდინი რომ რეგიონის წარმატებული სვლა კვლავ გაგრძელდებოდა. თუმცა მოლოდინი არ გამართლდა (Americas Quarterly, 2019).

ნაცვლად იმ მოლოდინებისა რაზეც ზემოთ ვისაუბრე, რეგიონი თითქმის ყველა ეკონომიკური თუ განვითარების სხვა პარამეტრების გათვალისწინებით ჩამორჩა თითქმის დანარჩენ მთელს მსოფლიოს. 2010-იანებში რეგიონის საშუალო ეკონომიკური ზრდა იყო მხოლოდ 2.2%, მაშინ როდესაც აზიის რეგიონის იყო 7.1%, საჰარის აფრიკის 4.1%, ახლო აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ ამერიკის კი 3.3%. რეგიონის ქვეყნების უმრავლესობაში გაიზარდა სიღარიბის დონე, მათ შორის უმუშევრობა და არსებული რეჟიმების მიმართ იმატა უკმაყოფილების დონემ მოსახლეობაში. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ქვეყნები მაინც ახერხებდნენ ეკონომიკური თუ სხვა სახის პარამეტრებში შედარებით სტაბილურობას, ძირითადი სურათი რეგიონში მაინც ნეგატიური იყო (Americas Quarterly, 2019).

უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის, ისტორიის მანძილზე რეგიონში ყოველ დეკადას შეიძლება თავისი სახელი ეწოდოს: 1970-იანი წლები რეგიონისთვის ცნობილი როგორც სამხედრო გადატრიალებების დეკადად, 1980-იანები იყო ფინანური კრიზისის წლები, 1990-იანები ცნობილია როგორც ვაშინგტონის კონსენსუსის დეკადად, 2000-იანები როგორც საქონლის წარმოების ბუმის წლები, ხოლო 2010-იანები კი ცნობილია როგორც ძველის გადმონაშთი - პერიოდი სადაც ქვეყნები ხასიათდებოდნენ ეკონომიკური დაღმასვლითა და მძიმე ეკონომიკური პირობებით. იმ მიზეზებზე, თუ რამ განაპირობა რეგიონის მსგავს რთულ ეკონომიკურ ვითარებაში ჩაყენება ფართო დისკუსიის საგანია, თუმცა ერთი რამ ცხადია, ამ ყველაფერში დიდი წვლილი სწორედ რეგიონის ქვეყნების პოლიტიკურ ელიტას მიუძღვის თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე. (Americas Quarterly, 2019).

ბუნებრივია ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობაზე პასუხი იყო ქვეყნების ხელისუფლების სათავეებში ახალი ლიდერების გამოჩენა. ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, სადაც ხელისუფლების სათავეში მემარჯვენე პრო-ამერიკული პოლიტიკის გამტარებელი ძალა მოვიდა იყო არგენტინა, სადაც 2015 წელს გაიმართა საპრეზიდენტო არჩევნები. მოქმედმა პრეზიდენტმა ფერნანდეს კირხნერმა, რომელიც უკვე მეორე ვადით იყო არჩეული პრეზიდენტად და სურდა კონსტიტუციის რეფორმა, რათა კიდევ ერთი ვადით ყოფილიყო არჩეული, ვერ მოახერხა სენატში საკმარისი ხმების მოგროვება კონსტიტუციური რეფორმის ჩასატარებლად და შესაბამისად, მას ამ არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია. აქედან გამომდინარე, მისი პარტიიდან მთავარი კანდიდატი გახდა დანიელ სკიოლი, რომელთან ერთადაც მთავარ კანდიდატებად განიხილებოდნენ მაურისიო მაკრი და კონგრესმენი სერხიო მასა. სკიოლი და მასა, პერონისტთა მოძრაობის წევრები და ამ იდეოლოგიის გამტარებლები იყვნენ, განსხვავებით მაურისიო მაკრისგან. (Bakerinstitute, 2016).

აღნიშნულ არჩევნებში ხმების 51.4% პროცენტი მიიღო მაურისიო მაკრიმ და გახდა არგენტინის პრეზიდენტი. მაკრის გამარჯვება საკმაოდ მოულოდნელი, თუმცა ამასთანავე ბევრი ცვლილების მომასწავებელი იყო არგენტინის საგარეო პოლიტიკისთვის. უფრო

კონკრეტულად, ამ გამარჯვებით არგენტინაში დამთავრდა მემარცხენეთა მმართველობა, რომელიც გამორჩეული იყო ანტი-ამერიკული რიტორიკით და პროტექციონისტული პოლიტიკით, რომელმაც არგენტინა საკმაოდ მძიმე ვითარებაში ჩააგდო (Partlow, Caselli, 2015). ამასთანავე მაკრის არჩევა საკმაოდ მძიმე დარტყმა იყო მემარცხენე ლიდერებისთვის სამხრეთ ამერიკაში და აღნიშნული არჩევნები გახდა დასაწყისი "Pink Tide"-ის პროცესის დასასრულისა.

მაურისიო მაკრის არჩევის შედეგად, რომელიც მემარჯვენე პრო-ამერიკული იდეოლოგიის გამტარებელი იყო, გაჩნდა მოლოდინი რომ აღნიშნული გამარჯვების შემდეგ არგენტინა მაკრის ხელმძღვანელობით შეძლებდა რომ შეენარჩუნებუნა კონსტრუქციული და ბილატერალური ურთიერთობები ამერიკის შეერთებულ შტატებთან. მართლაც, არჩევიდან მოკლე ხანში შეიძლება ითქვას, რომ მოლოდინი გამართლდა. მაკრი იზიარებს ამერიკის შეერთებული შტატების ხედვას ადამიანის უფლებების შესახებ რეგიონში. ასევე არჩევნებიდან საკმაოდ მოკლე ხანში, მან მოუწოდა ქვეყნებს გაეძევებინათ რეგიონული სავაჭრო ორგანიზაცია მერკოსურიდან ვენესუელა იქ არსებული პოლიტიკური ვითარებისა და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევების გამო (Sullivan, 2015).

არჩევნების შემდეგ მაკრი ამერიკის შეერთებულ შტატებს 2016 წლის განმავლობაში ჯამში სამჯერ ეწვია. აღნიშნული ვიზიტების ფარგლებში, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები კიდევ უფრო გარღრმავდა. უფრო დეტალურად, არგენტინის პრეზიდენტმა მაურისიო მაკრიმ ხელი მოაწერა თანამშრომლობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან სამხედრო სფეროში, რომელიც გულისხმობს ამერიკული სამხედრო ბაზების განლაგებას უშუაიაში, რომელიც უკიდურესი სამხრეთი წერტილი არის რეგიონის და რომელიც ანტარქტიდას ესაზღვრება. არგენტინის მთავრობამ აღნიშნულის შესახებ განაცხადა, რომ იქ სამეცნიერო სამუშაოები იქნება განხორციელებული. გარდა ამისა, 2016 წელს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანხელ ტელიო იმყოფებოდა 5 დღიანი ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში და მისი ვიზიტის მიზანი იყო განეახლებინა ორმხრივი სამხედრო ურთიერთობები შეერთებულ შტატებთან, რომელიც ბოლო წლებია გაყინულია. ასევე გაჟღერდა განცხადებები, რომ იგეგმება არგენტინის ერთ-ერთ რეგიონში რომელიც

ბრაზილიას და პარაგვაის ესაზღვრება, კიდევ ერთი ამერიკული სამხედრო ბაზის განთავსების შესახებ. აღნიშნული მოლაპარაკებები და ვიზიტები ამერიკის შეერთებულ შტატებში მნიშვნელოვანი იყო იმდენად, რამდენადაც ბოლო პერიოდში, მაკრის არჩევამდე ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები პარალიზებული იყო, რადგან მაკრის წინამორბედი პრეზიდენტები კრისტინა ფერნანდესი და მანამდე ნესტორ კირხნერი, რომლებიც პერონისტთა იდეოლოგიის გამტარებლები იყვნენ, ცდილობდნენ საგარეო პოლიტიკა ამერიკის შეერთებული შტატებისგან დამოუკიდებლად გაეტარებინათ და ძირითადად ესწრაფვოდნენ რეგიონულ ინტეგრაციას. ხოლო მაკრიმ, როგორც არჩევნების დღიდანვე განაცხადა აპირებდა ვაშინგტონთან პრაგმატული და მომგებიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, რასაც მისი პრეზიდენტობისას, ამერიკაში მისი ვიზიტებითა და ორ ქვეყანას შორის დადებული შეთანხმებებითა და ურთიერთობებით, შეიძლება ითქვას რომ წარმატებით ახერხებდა (Telesurenglish, 2016).

ბუნებრივია არგენტინაში, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გავლენიანი ქვეყანაა, რომელიც ქმნის პოლიტიკურ ამინდს რეგიონში, ახალი მემარჯვენე ლიდერის მოსვლა ხელისუფლების სათავეში, რომელმაც პრო-ამერიკული პოლიტიკის გატარება დაიწყო რეგიონში, მნიშვნელოვანი დარტყმა იყო “Pink Tide”-ის მონაწილე ქვეყნებისთვის და ზოგადად დაიწყო საუბრები რეგიონის საგარეო პოლიტიკის ცვლილებაზე მემარცხენედან მემარჯვენე იდეოლოგიისკენ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა რეგიონში, რომელიც მძიმე დარტყმა აღმოჩნდა “Pink Tide”-ის მონაწილე ქვეყნებისთვის იყო ვენესუელაში, რომელიც ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და მედროშე იყო ამ პროცესისა. ამასთანავე, ვენესუელა იყო ქვეყანა, რომელიც უგო ჩავესის მართველობის პერიოდში სათავეში ჩაუდგა ორგანიზაცია CELAC-ის ჩამოყალიბებას და ხელი შეუწყო მის ინტეგრაციას რეგიონის ქვეყნების მასშტაბით.

უფრო კონკრეტულად, უგო ჩავესის გარდაცვალებისა და მის ადგილას ნიკოლას მადუროს გამოჩენა რეგიონში და ქვეყანაში თითქოს არაფერს ცვლიდა, რადგან მადურო, ისევე როგორც ჩავესი ერთი და იგივე იდეოლოგიის გამტარებლები იყვნენ. თუმცა, განსხვავებით

მისი წინამორბედისგან, ნიკოლას მადურო ვერ აღმოჩნდა ქარიზმატული ლიდერი, რომელიც ქვეყანაში ძალაუფლებას ერთხმად შეინარჩუნებდა და იგივე პოლიტიკას გაატარებდა. აღნიშნულის დადასტურება იყო 2015 წელს ჩატარებული არჩევნები ვენესუელაში, რომელშიც მოქმედმა ხელისუფლებამ დაკარგა უმრავლესობა ეროვნულ ასამბლეაში და ადგილები ძირითადად გადაინაწილა და შესაბამისად ასამბლეა დააკომპლექტა ოპოზიციამ, რომელმაც დაასრულა სოციალისტური პარტიის თითქმის 20 წლიანი ხელისუფლების სათავეში ყოფნა. აღსანიშნავია, რომ მადურომ ცნო არჩევნების შედეგები და თავი დამარცხებულად გამოაცხადა (BBC, 2015). სოციალისტური პარტიის დამარცხება და მემარჯვენე ძალებით ეროვნული ასამბლეის უმრავლესობის დაკომპლექტება, ასევე მოასწავებდა მადუროს ანტი-ამერიკული პოლიტიკის შესუსტებასა და მის ცვლილებას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება რეგიონის პოლიტიკურ ამინდში, რომელმაც ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა „Pink Tide”-ის პროცესის შესუსტებაში გამოწვეული იყო ბრაზილიაში მიმდინარე მოვლენებით. კერძოდ, ბრაზილიაში, რომელიც როგორც უკვე აღვნიშნე ითვლებოდა ლუის ინასიუ ლულა და სილვასა და დილმა რუსეფის პრეზიდენტობის განმავლობაში ამ პროცესის ერთ-ერთ მედროშედ, რომელიც ასევე რეგიონში ანტი-ამერიკული პოლიტიკის გამტარებელი და CELAC-ის ერთ-ერთი მთავარი დამფუძნებელია, მოხდა მემარცხენე ლიდერისა და ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტის დილმა რუსეფის იმპიჩმენტი, კორუფციულ სკანდალთან დაკავშირებით, რომელმაც სხვადასხვა მონაცემებით ბრაზილიის ეკონომიკა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. სწორედ „პეტრობრასთან“ დაკავშირებული სკანდალი, რომელშიც მონაწილეობდა ქვეყნის ხელისუფლების მაღალჩინოსნები და მათ შორის დილმა რუსეფიც, როგორც გამოიძიების შედეგად დადგინდა, განაპირობა დილმა რუსეფის პრეზიდენტობის დასასრული ბრაზილიაში, რომელიც დასრულდა 2016 წელს მისი იმპიჩმენტით.

დილმა რუსეფის იმპიჩმენტის შედეგად პრეზიდენტი გახდა მიშელ ტემერი. ამ უკანასკნელმა განსხვავებით დილმა რუსეფისგან, რომელიც ცალსახად ანტი-ამერიკულ

პოზიციას ატარებდა და რომელიც მნიშვნელოვანი მოთამაშე იყო რეგიონში პოლიტიკური ამინდის შექმნაში, დაიწყო პრო-ამერიკული პოლიტიკის გატარება.

მიშელ ტემერის პრეზიდენტობას რაც შეეხება, მისი პრეზიდენტობის დროს ამერიკის შეერთებულ შტატებთან მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით ურთიერთობების ნორმალიზება მოხდა და დაიწყეს თანამშრომლობა. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ამერიკის ჩართულობა გამოძიების საქმეში, სწორედ იმ კორუფციული სკანდალის შესახებ რომელსაც მოჰყვა მოქმედი პრეზიდენტის გადაყენება.

როგორც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ვებ გვერდზე არის გამოქვეყნებული, თანამშრომლობამ ბრაზილიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის უპრეცენდენტო ნიშნულს მიაღწია და რთულია წარმოიდგინო უფრო პროდუქტიული და წარმატებული თანამშრომლობის მაგალითი ორ ქვეყანას შორის, როგორც ეს მოხდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტსა და ბრაზილიის პროკურატურას შორის ტერმერის პრეზიდენტობის პერიოდში. როგორც მოხსენებაშია აღნიშნულია, ორი ქვეყანა აქტირუად თანამშრომლობდა მიმდინარე გამოძიების ფარგლებში დოკუმენტების წარდგენისა და მხილების საქმეში. ასევე, როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებაში ვკითხულობთ, აღნიშნული თანამშრომლობის შედეგად საკმაოდ პოზიტიური შედეგი დაიდო გამოძიების კუთხით, რაც ქმნის საფუძველს, რომ ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა კიდევ უფრო გაგრძელდება მომავალში სხვა საკითხებთან დაკავშირებითაც (The United States Department of Justice, 2017).

გარდა ზემოთ აღნიშნული თანამშრომლობისა, მიშელ ტემერი პრეზიდენტობის დროს 2016 წლის სექტემბერში იმყოფებოდა სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ვიზიტის ფარგლებში შეხვდა ამერიკის ვიცე პრეზიდენტს. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში მხარეებმა განიხილეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავების შესაძლებლობები. ვიცე პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა შეაქო მთავრობის ცვლილების შემდეგ ბრაზილიის ახალი პრეზიდენტის მცდელობები რეგიონულ დონეზე ქვეყნის ლიდერობის შენარჩუნებაში. გარდა ამისა, ვიცე პრეზიდენტმა და მიშელ ტემერმა გამოთქვეს

მზადყოფნა მომავალში ითანამშრომლონ ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება ბრაზილიის ენერგო რესურსებს, ეკონომიკის მოდერნიზაციას, ასევე შეთანხმდნენ თანამშრომლობაზე მიგრაციის საკითხებზე და ურთიერთობების გაღრმავებაზე როგორც ცენტრალური ამერიკის რეგიონთან, ასევე სამხრეთ ამერიკის რეგიონის სხვა ქვეყნებთან და იმუშავებენ ერთობლივად, რათა ხელი შეუწყონ უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების დაცვას დასავლეთ ნახევარსფეროში (U.S Embassy & Consulates in Brazil, 2016). შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ ბრაზილიაში, რომელიც ასევე ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი იყო ანტი-ამერიკული პოლიტიკისა ლათინური ამერიკის რეგიონში და მნიშვნელოვან როლს თამაშობს პოლიტიკური ამიდნის შექმნაში რეგიონში, 2016 წელს დილმა რუსეფის იმპიჩმენტის შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოვიდა პრეზიდენტი, რომელმაც შეცვალა მანამდე არსებული მიდგომა და პოლიტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, დაიწყო თანამშრომლობა და კონსტრუქციული დიალოგი საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ხელს შეუწყობდა ორ ქვეყანას შორის მანამდე არსებული ურთიერთობების ნორმალიზებასა და განვითარებას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა რეგიონისთვის, პრო-ამერიკული კურსის განსაზღვრის საკითხში იყო 2016 წელს პერუში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები, რომლის შედეგადაც ქვეყნის პრეზიდენტი გახდა პედრო პაბლო კუჩინსკი, რომელმაც არჩევნებიდან საკმაოდ მალე დაიწყო პრო-ამერიკული პოლიტიკის გატარება, რომელიც გამოვლინდა, როგორც მის განცხადებებში, ასევე საგარეო პოლიტიკურ ნაბიჯებში, რეგიონის ქვეყნებთან მიმართებით, მაგალითად ვენესუელას შემთხვევაში, რომელზეც დეტალურად ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებ. თუმცა მანამდე აღსანიშნავია ის გარეომეობა, რომ პერუ თავისი ისტორიული გამოცდილებითა და როლით რეგიონში, ისევე როგორც რეგიონის ფარგლებში შექმნილს სხვადასხვა ორგანიზაციებში, მნიშვნელოვან როლს თამაშობს პოლიტიკების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში.

როგორც უკვე აღვნიშნე 2016 წელს, პერუში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად ქვეყნის ხელისუფლების სათავეში მოვიდა პედრო პაბლო კუჩინსკი. კუჩინსკი არჩევის დღიდანვე თანმხვედრ პოზიციას ატარებდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან სხვადასხვა საკითხთან

დაკავშირებით. აღნიშნული შეეხება ვენესუელაში მიმდინარე მოვლენებსაც. უფრო კონკრეტულად, კუჩინსკი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც დაგმო ვენესუელაში ნიკოლას მადუროს მოქმედებები და მოსთხოვა მადუროს დაეწყო ქვეყნის დემოკრატიზაცია და ვენესუელას გადაყვანა დემოკრატიულ რელსებზე. ასევე პერუმ უარი განაცხადა ამერიკის ქვეყნების სამიტში მონაწილეობაზე, რადგან მადურო გეგმავდა საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას, რომელშიც მონაწილეობის უფლება აკრძალული ჰქონდა მოქმედ ოპოზიციას. ასევე კუჩინსკიმ მოუწოდა რეგიონის ლიდერ ქვეყნებს რომ დახმარებოდნენ ვენესუელას ძალაუფლების მშვიდობიან გადაცემაში. ასევე თავისი ვიზიტის ფარგლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში, მან განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს შესთავაზა დახმარების ჯგუფში აქტიურად ჩართულიყო ვენესუელაში მდგომარეობის გამოსასწორებლად. რის შემდეგაც ჯონ კერიმ განაცხადა რომ ამერიკის შეერთებული შტატები მხარს დაუჭერს რეგიონის ქვეყნების ძალისხმევას ვენესუელასთან დიალოგის პროცესში (Telesurenglish, 2016).

ბუნებრივია ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებმა და ხელისუფლებების სათავეში მოსულმა პრო-ამერიკულმა ძალებმა, შექმნეს მოლოდინი, რომ უპირველეს ყოვლისა საკუთარი საგარეო პოლიტიკიდან გამომდინარე, რომელიც ცალსახად პრო-ამერიკული იყო, რეგიონის საგარეო პოლიტიკაც ასევე შეცვლილი იქნებოდა შეერთებული შტატებისადმი. თუმცა, მოლოდინი არ გამართლდა. ორგანიზაცია CELAC-ი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი მექანიზმია რეგიონში საერთო პოლიტიკური ხედვების ჩამოყალიბებისა და თავის დროზე შეიქმნა როგორც ამერიკის შეერთებული შტატების დამბალანსებლად რეგიონში, წამყვანი ქვეყნების სათავეში პრო-ამერიკული ძალების მოსვლის შემდეგ, და მას შემდეგ რაც “Pink Tide”-ის ქვეყნების რაოდენობა 16-დან 8-მდე ჩამოვიდა, რომლებიც რეალურად იყვნენ CELAC-ის დამფუძნებლები და რეგიონში ანტი-ამერიკული პოლიტიკის მედროშეები, გააჩინა მოლოდინი რომ ორგანიზაციის ფარგლებშიც საგარეო პოლიტიკური ხედვა ამერიკის შეერთებულ შტატებთან შეიცვლებოდა, თუმცა მოლოდინი შეიძლება ითქვას არ გამართლდა და ქვეყნები მიუხედავად იმისა რომ ინდივიდუალურად პრო-ამერიკულ პოლიტიკას ატარებენ,

ორგანიზაცია CELAC მაინც ანტი-ამერიკული განცხადებებით და მოწოდებებით გამოირჩა 2016 და 2017 წელს ჩატარებული შეხვედრებისა და მიღებული დეკლარაციების გათვალისწინებით.

CELAC-ის საგარეო პოლიტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებთან და საკვანძო მიზეზები

როგორც უკვე აღვნიშნე, მას შემდეგ რაც 2015 წლიდან ლათინური ამერიკის რეგიონის ქვეყნების ხელისუფლების სათავეში გამოჩნდნენ პრო-ამერიკული ძალები და იმ ქვეყნების სათავეში, რომლებიც რეალურად ქმნიან პოლიტიკურ ამინდს რეგიონში, გაჩნდა მოლოდინი რომ CELAC-ი, რომელიც თავიდანვე ჩაფიქრებული იყო როგორც ამერიკის ინტერესების დამბალანსებელი რეგიონში, გარკვეული კუთხით შეიცვლიდა საგარეო პოლიტიკას და არ იქნებოდა კრიტიკულად განწყობილი შეერთებული შტატებისადმი.

თუმცა მოლოდინი არ გამართლდა. როგორც უკვე აღვნიშნე სამიტის მსვლელობისას და დეკლარაციაში რომელიც სამიტის ფარგლებში იქნა მიღებული საკმაოდ კრიტიკული დამოკიდებულება იყო ამერიკის შეერთებული შტატებისადმი, როგორც ოფიციალურ დოკუმენტებში, რომელიც სამიტის ფარგლებში იქნა მიღებული, ასევე განცხადებებშიც ხშირად იქნა დაგმობილი ნაბიჯები, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან იდგმება ლათინური ამერიკისადმი. მაგალითად, სამიტის საბოლოო დეკლარაციაში ერთგულნი დარჩნენ 2016 წლის CELAC-ის მეოთხე სამიტზე მიღებული დეკლარაციისა, რომლის მიხედვითაც ამერიკამ კუბას უნდა დაუბრუნოს ოკუპირებული ტერიტორია - გუანტანამო, ასევე მოუწოდეს ამერიკის შეერთებულ შტატებს დაუბრუნოს კუბელ ხალხს თავიანთი ტერიტორია, რომელიც ერთ საუკუნეზეა მეტია აშშ-ს ოკუპირებული აქვს. მოუწოდეს ამერიკის შეერთებულ შტატებს ურთიერთობების ნორმალიზებისკენ კუბის რესპუბლიკასთან, რომელიც მნიშვნელოვან კონტრიბუციას შეიტანს რეგიონის სტაბილურობასა და განვითარებაში. ასევე აღნიშნეს, რომ ტერიტორიის დაბრუნება კუბელი ხალხისთვის უნდა მოხდეს ორმხრივი დიალოგის ფარგლებში, რომელიც შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო სამართლის ნორმებთან. (POLITICAL DECLARATION OF PUNTA CANA V CELAC SUMMIT, 2017).

გარდა მეხუთე სამიტისა, ასევე 2017 წელს მოწვეული იქნა სპეციალური სესია CELAC-ის რომელიც ჩატარდა ელ-სალვადორში და რომელიც მნიშვნელოვანი იყო ასევე ანტი-

ამერიკული განწყობებით. კერძოდ სამიტის ფარგლებში, მინისტრებმა და წარმოდგენილი ქვეყნის პირველმა პირებმა მხარი დაუჭირეს ვენესუელას და გამოთქვეს მზადყოფნა მონაწილეობა მიიღონ იქ არსებული სიტუაციის დასტაბილურებაში. გარდა ამისა, სალვადორის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ მოხარულია რათა ამერიკის შეერთებული შტატები, განსხვავებით სხვა ფორმატებისგან, რომელიც ვენესუელაში მიმდინარე საკითხების ფარგლებში მიმდინარეობს, ვაშინგტონის წარმომადგენლობა თავისი გამოძალვითი და მუქარის შემცველი გზავნილებით ვერ ესწრებოდა CELAC-ის სესიებსა და სამიტებს (CELAC summit backs Venezuela, 2017). ხოლო ვენესუელაში მიმდინარე მოვლენების მხარდაჭერა, რომელიც პრინციპულად მიუღებელია ვაშინგტონისთვის, თეთრი სახლის მიერ აღქმულია და რეალურად ითვლება როგორც ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად, რაც კიდევ ერთხელ იქნა დადასტურებული აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში, როგორც მიღებულ დეკლარაციაში ასევე გაკეთებულ განცხადებებში.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი რის გამოც ქვეყნები, რომლებშიც პრო-ამერიკული მთავრობები მოვიდნენ და რომლებიც რეალურად ქმნიან პოლიტიკურ ამინდს რეგიონში, არ მიდიან მიღებული დეკლარაციებისა და განცხადებების, ასევე ოფიციალურ დოკუმენტებში გაჟღერებული ანტი-ამერიკული პოზიციების წინააღმდეგ, მიუხედავად მათი ინდივიდუალური პრო-ამერიკული პოლიტიკისა არის ის, რომ არ სურთ ამ ქვეყნებს, წავიდნენ უმრავლესობის წინააღმდეგ, რადგან ამით დააზიანებენ საერთო ფონს, რომელიც რეგიონში ზოგადად ისტორიული კონტექსტიდან და სხვა მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე ანტი-ამერიკული ხასიათისაა.

ერთი-ერთი მთავარი მიზეზი რის გამოც ქვეყნები თმობენ საკუთარ პოზიციებს სხვა ქვეყნების სასარგებლოდ შეგვიძლია ვეძებოთ თვითონ ორგანიზაცია CELAC-ის სტრუქტურაში. კერძოდ, ეს ორგანიზაცია თავის დროზე შეიქმნა, რათა საერთო მიდგომითა და ერთიანი პოლიტიკური ხედვებით გაეტარებინათ პოლიტიკა, რომელიც იქნებოდა საერთო ინტერესებზე დაფუძნებული. ამასთანავე, მთავრობის მეთაურების მიერ მიღებული მანდატით, ორგანიზაცია არის ერთიანი ხმა რეგიონისა მიმდინარე საკითხებზე.

გარდა ამისა, ორგანიზაცია, როგორც მის წესდებაში ვკითხულობთ არის საერთო ხმის გამჟღერებელი მოლაპარაკებებისა თუ დიალოგის შემთხვევაში სხვა რეგიონულ ბლოკებთან, ორგანიზაციებთან თუ ქვეყნებთან შემთხვევაში. ამის ერთ-ერთი დამდასტურებელი ფაქტია ის გარემოება, რომ დიალოგისა და მოლაპარაკებების დროს ევროკავშირთან, ჩინეთთან, რუსეთის ფედერაციასთან, კორეის რესპუბლიკასთან და სხვა ქვეყნებთან თუ ორგანიზაციებთან, ორგანიზაცია წარმოდგენილია ერთიანი პოზიციით და როგორც დეკლარაციაშია გაცხადებული, მოქმედებს როგორც რეგიონის ერთიანი ხმა. აღნიშნულს ასევე ადასტურებს კუბაში 2014 წელს ჩატარებული სამიტისას მექსიკის პრეზიდენტის ფელიპე კალდერონის სიტყვებიც, რომელმაც განაცხადა, რომ მათ გადაწყვიტეს შეექმნათ გაერთიანება ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების მონაწილეობით, რომელშიც ადგილი იქნებოდა რეგიონის ყველა ქვეყნისთვის. ასევე მანვე დაამატა, რომ არ შეიძლება ვიყოთ დაქსაქსულები გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, ვერ ვიქნებით მომავალში წარმატებულნი თუ კი განსხვავებული ხედვები გვექნება სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, და განაცხადა, რომ უკვე მათზე იყო დამოკიდებული რომ განსხვავებების საფუძველზე მომხდარიყო გაერთიანება და ყოფილიყვნენ ერთანი პოზიციის გამჟღერებლები არსებულ საკითხებთან და გამოწვევებთან დაკავშირებით, რომელიც მომავალში გაჟღერდებოდა და შეეხებოდა როგორც რეგიონის, ასევე საერთაშორისო მასშტაბით მიმდინარე მოვლენებს (Celacinternational, 2019).

მარკ კირტონი თავის წიგნში ასევე დეტალურად განიხილავს CELAC-ში გადაწყვეტილებების მიღებაზე გავლენის მქონე ჯგუფების შესახებ. ავტორი აღნიშნავს, რომ ორგანიზაციაში გადაწყვეტილებების მიღებისას ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ადგილი აქვს შენარჩუნებული ჯგუფებს, რომლებიც 21-ე საუკუნეში ახალი მემარცხენე იდეოლოგიის საფუძველზე მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში და რეალურად სწორედ ეს ძალები ადგენენ და განსაზღვრავენ ორგანიზაციაში დღის წესრიგსა და გადაწყვეტილებებს, რაზეც პოზიციების დათმობა უწევს სხვა სახელმწიფოებს. ასევე გადაწყვეტილებების მიღებისას სტრუქტურულად საკმაოდ არიან ჩართულნი პატარა

ქვეყნებიც, კერძოდ კარიბის ზღვის აუზის ქვეყნები. ორგანიზაციაში კი ამ ქვეყნების უმრავლესობა უარყოფითად არის განწყობილი ამერიკის შეერთებული შტატებისადმი და მისი ჩართულობისადმი რეგიონში (Kirton, 2014).

ამასთანავე მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ 2017 წელს ჩატარებული სამიტის ფარგლებში, როდესაც ხდებოდა სამიტის გახსნა მასპინძელი ქვეყნის პრეზიდენტმა სამიტის გახსნის დროს, დანილო მედინამ აღნიშნა, რომ პროტექციონიზმი და საზღვრების პრობლემა მნიშვნელოვან კითხვებს ბადებს. ჩვენ უნდა დავდგეთ ერთად, რომ მოვახერხოთ ჩვენი გაერთანებისა და მიზნების დაცვა (Newman, 2017). აღნიშნულით დანილო მედინამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ ქვეყნები, რომელთაც შეიძლებოდა განსხვავებული პოზიცია ჰქონოდათ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, უნდა ყოფილიყვნენ ერთსულოვნები გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომელსაც ორგანიზაცია სამიტის ფარგლებში მიიღებდა და უნდა დაეთმოთ პოზიციები უმრავლესობის სასარგებლოდ. როგორც სამიტის შედეგად მიღებულ დოკუმენტებში და ოფიციალურ განცხადებებში წარმოჩინდა, CELAC-ი ერთსულოვანი იყო და ოცდაცამეტივე წევრი იზიარებდა იმ დეკლარაციებს და განცხადებებს, რაც კეთდებოდა როგორც სამიტის განმავლობაში ასევე მიღებულ დეკლარაციებში.

ასევე გადაწყვეტილებებში, ერთსულოვანი პოზიციის დაფიქსირებაზე ისაუბრა ანხელ კორეამაც თავის გამოსვლაში, სადაც საუბარი შეეხებოდა ტრამპის ადმინისტრაციის იდეას მექსიკის საზღვარზე კედლის აშენებასთან დაკავშირებით. როგორც კორეამ აღნიშნა, მათი მიზანია დაიცვან საკუთარი თავები აგრესიული მიგრაციის პოლიტიკისგან. ადამიანის უფლებებზე მასშტაბური შეტევა არის ერთ-ერთი ცენტრალური თემა რომელმაც ჩვენ აქ გვიბიძგა რომ შევკრებილიყავით. ასევე თავის გამოსვლაში აღნიშნა რომ მათი ვალია დაიცვან მიგრაციისა და გადაადგილების ფორმები და პატივი სცენ მას, რადგან გადაადგილება ადამიანის კანონიერი უფლებაა (Newman, 2017).

კორეას აღნიშნული განცხადება, ისევე როგორც მასპინძელი ქვეყნის, დანილო მედინასი, იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ორივე გამომსვლელი თავის სიტყვაში, მოუწოდებს იქ

შეკრებილ ლიდერებს, რომ ისევე როგორც ეს CELAC-ის დამფუძნებელი დეკლარაციაში წერია, უნდა იყვნენ ერთსულოვნები და ჰქონდეთ ერთიანი მიდგომა და პოლიტიკა საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც სამიტის ფარგლებში იქნება განხილული და გადაწყვეტილებებს, რომელსაც მიიღებენ პატივი უნდა სცეს ყველა ქვეყანამ, რომელიც არის წარმოდგენილი სამიტზე.

თეორიული ჩარჩო

კოლექტიურ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცედურებსა და დამახასიათებელ ნიშან-თვისებებზე საინტერესო თეორიულ ჩარჩოს გვთავაზობს იუნო კიმი თავის სტატიაში „აბილინის პარადოქსი და ჯგუფური აზროვნება“ (Groupthink), სადაც ავტორი დეტალურად განიხილავს თუ როგორ ხდება და რას ითვალისწინებენ ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები გადაწყვეტილებების მიღებისას, როდესაც საქმე ეხება საერთაშორისო ორგანიზაციაში ქვეყნების მხრიდან გადაწყვეტილებების მიღებას.

მანამ სანამ უშუალოდ გადავალ ლათინური ამერიკის რეგიონში და კერძოდ ორგანიზაცია CELAC-ში გადაწყვეტილებების მიღების პროცედურებსა და თავისებურებებზე, აუცილებელია ვისაუბროთ თუ რას გულისხმობს აღნიშნული ორი კონცეფცია.

კონცეფცია “აბილინის პარადოქსი”-ს სახელწოდება სათავეს იღებს კონცეფციის ავტორის პირადი ოჯახური გამოცდილებიდან, როდესაც ის და მისი ოჯახი წავიდნენ კონკრეტული მიმართულებით მიუხედავად იმისა, რომ მძიმე მეტეოროლოგიური და სხვა სახის პრობლემების გამო არცერთს არ ჰქონდა სურვილი წასულიყვნენ, თუმცა ერთმანეთს ამის შესახებ არ გამოუტყდნენ, და ჰარვის აბილინის პარადოქსის კონცეფციის მთავარი არსი მდგომარეობს შემდეგში: საერთაშორისო ორგანიზაციები იღებენ გადაწყვეტილებებს და მოქმედებენ იმის საპირისპიროდ რისი მიღწევაც და გაკეთებაც მათ სურთ.

უფრო ცნობილი კონცეფცია „დეფექტური“ გადაწყვეტილებების მიღებისას, რომელსაც ნაშრომში გამოვიყენებ, როგორც თეორიულ ჩარჩოს, ცნობილია ჯანისის “Groupthink“ კონცეფციის სახელით. აღნიშნულ კონცეფციას იგი განსაზღვრავს როგორც სწრაფ და მარტივ გზას, რომელშიც ჯგუფში მონაწილე ადამიანები იმდენად ღრმად არიან ჩართულნი ჯგუფში ერთსულოვნებისა და საერთო პოზიციის გაჟღერებისთვის, რომ საკუთარ პოზიციებს თმობენ ჯგუფის სასარგებლოდ, და ჯგუფური აზროვნება წონის ერთი კონკრეტული ქვეყნის ან ადამიანის პოზიციას.

სტატიაში ავტორს დახასიათებული აქვს “Groupthink” კონცეფციაში გადაწყვეტილების მიღებისას რამდენიმე ცვლადი, რომელსაც გავლენა აქვს ჯგუფში გადაწყვეტილებების მიღებისას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლადი, რომელსაც განვიხილავთ აღნიშნული ანალიტიკური მოდელის ფარგლებში არის „ჯგუფური ერთსულოვნება“, რომელიც გულისხმობს ჯგუფის წევრების სურვილს დარჩნენ ჯგუფის წევრად. აღნიშნული გადაწყვეტილებისას მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ჯგუფის წევრის მოლოდინებსა და შესაძლო ბენეფიტებს. ჯანისი ჯგუფურ ერთსულოვნებას განსაზღვრავს როგორც “Groupthink”-ის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ცვლადს, რადგან გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ ჯგუფში, ჯგუფის წევრებს შორის ერთსულოვნება და ერთიანობა უფრო მატულობს. თვითონ ორგანიზაცია CELAC-ი, რომელშიც გაერთიანებულია ყველა ლათინო ამერიკული და კარიბის ზღვის აუზის ქვეყანა, სწორედ ამ იდეაზე დაფუძნებით დაარსდა. გარდა იმ იდეისა, რომ კანადისა და აშშ-ის გარეშე უნდა წარმართულიყო რეგიონში დამოუკიდებელი პოლიტიკა, CELAC გახდა თანამედროვე მულტილატერალური ინსტიტუტი, რომელიც ცდილობს სამხრეთის ქვეყნების ერთ აქტორად წარმოჩენას და ეს არის ფორუმი რეგიონისთვის, რომელიც მასში არ შემავალ ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან ამყარებს კავშირს ერთიანი პოზიციით. (Denoon, 2017).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლადი, რომელსაც გავლენა აქვს გადაწყვეტილებების მიღებისას აღნიშნულ კონცეფციაში არის გარეგანი საფრთხის მოლოდინი. „ჯგუფურად აზროვნების კონცეფციაში“ მნიშვნელოვან როლს თამაშობს გარედან მომავალი საფრთხის აღქმა, უფრო კონკრეტულად თუ არსებობს ეს საფრთხე, ობიექტური ან თუნდაც სუბიექტური, ამ შემთხვევაში ჯგუფში ჩნდება სოლიდარობის პრინციპი, რის შედეგადაც გადაწყვეტილებების მიმღები ჯგუფის წევრები აჩვენებენ ერთსულოვნებასა და მოტივაციას რომ არ დაუჭირონ მხარი ისეთ ზომებს რომელიც შეიძლება კონტრპროდუქტიული იყოს კრიზისის დროს, იმის შიშით რომ არ დაკარგონ ჯგუფის წევრობა (Yonhoo, 2001). რომ არაფერი ვთქვათ იმ პოლიტიკურ საფრთხეზე, რაც ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან ისტორიის მანძილზე მომდინარეობდა რეგიონისადმი,

სამიტის განმავლობაში ლათინური ამერიკის ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელი მდივნის განცხადებაც ნათლად გვაჩვენებს, რომ რეგიონში კვლავ შემორჩენილია ამერიკის შეერთებული შტატებისადმი, როგორც საფრთხის შემცველი ქვეყნის იმიჯი, კერძოდ, ტრამპის ეკონომიკურ პოლიტიკაზე საუბრისას მან ხაზი გაუსვა, რომ „გაურკვევლობის“ კვლადაკვალ, აუცილებელია რეგიონში კიდევ უფრო მეტად ინტეგრაცია და იმ ეკონომიკური მექანიზმების შემუშავება, რომელსაც რეგიონის ეს ქვეყნები გამოიყენებენ როგორც ფარს აშშ-ის პროტექციონისტური პოლიტიკის წინააღმდეგ. (Globalriskinsights, 2017).

აღნიშნულ კონცეფციაში ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ორი ცვლადი, კერძო ხედვები და ჯგუფური ილუზიის ეფექტი. აღნიშნული ცვლადები ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ გადაწყვეტილებების მიღებისას ჯგუფში, რადგან ჯგუფის ინდივიდუალური წევრები არიან გადაწყვეტილებების მიღებისას ეიფორიაში და არიან „ჯგუფური ეიფორიის“ გავლენის ქვეშ, რის შედეგადაც აღნიშნულ გადაწყვეტილებებს, რომელსაც ჯგუფის ფარგლებში იღებენ სწამთ, რომ მომავალში პოზიტიურ შედეგებს გამოიღებს და რეალურად თავიანთ პოზიციებს თმობენ. ლათინური ამერიკის ქვეყნების და შესაბამისად ორგანიზაცია CELAC-ში გადაწყვეტილებების მიღებისას, სამიტის ფარგლებში მნიშვნელოვანი იყო, რომ ქვეყნებს ზოგადად ანტიამერიკული პოზიცია ეკავათ. მასპინძელი ქვეყნის პრეზიდეტნმა, დანილო მედინამ, რომელმაც სამიტი გახსნა განაცხადა, რომ პროტექციონისტული პოლიტიკა და საზღვრების დახურვა უარყოფითად აისახებოდა ორმხრივ ურთერთობებში, და აღნიშნა რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს რათა წარსულში არ დავბრუნდეთ. აუცილებელია ერთად დგომა და ჩვენი ალიანსის დაცვა. ამავე გამოსვლაზე, ანხელ კორეა ასევე კრიტიკულად იყო განწყობილი ტრამპის ადმინისტრაციის პოლიტიკისადმი. თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევა არის სწორედ ის ერთ-ერთი ცენტრალური თემა რის გამოც აქ შეიკრიბნენ. ასევე დაამატა, რომ მათი ვალია დაიცვას მიგრაციისა და გადაადგილების ფორმები და პატივი სცენ მას, რადგან გადაადგილება ადამიანის კანონიერი უფლებაა. (Newman, 2017).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლადი არის „იძულება“ და „ნებაყოფლობითობა“. აღნიშნულ კონცეფციაში ჯგუფის წევრი, რომელიც აკეთებს ამა თუ იმ არჩევანს, შეიძლება ფიქრობდეს რომ ეს არჩევანი გააკეთა საკუთარი სურვილის შესაბამისად ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე, თუმცა რეალურად ეს პოზიცია ჰქონდეს დაკავებული მხოლოდ იმისთვის, რომ ჯგუფის პოზიციას ემთხვევა.

აღნიშნულ კონცეფციაში გადაწყვეტილებების მიღებისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს ასევე ორი ცვლადი: „გამოყოფის შიში“ და „ერთსულოვნება“. თუმცა „გამოყოფის შიშისგან“ განსხვავებით, „ერთსულოვნების“ ცვლადი გაცილებით მნიშვნელოვანია და უფრო დიდი გავლენა აქვს გადაწყვეტილებების მიღებისას. როგორც უკვე აღინიშნა, ეს გულისხმობს ჯგუფის წევრის სურვილს, რომ ასოცირდებოდეს ჯგუფთან და თავისი გადაწყვეტილებებით არ მოხდეს მისი გამოყოფა ჯგუფისგან. ასევე ავტორი აღნიშნავს, რომ რაც უფრო დიდია ჯგუფთან ასოცირებისა და მასთან ყოფნის სურვილი უფრო დიდია შანსი იმისა, რომ ინდივიდუალური გადაწყვეტილება და აზროვნება ჩანაცვლებული იქნება ჯგუფური აზროვნებითა და გადაწყვეტილებებით კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. (Yonhoo, 2001). ლათინური ამერიკის და კონკრეტულად CELAC-ის შემთხვევაში, ყოველი სამიტისა და თუ განცხადების შემდეგ ერთსულოვნება არის შენარჩუნებული და მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნებს და ახალ ლიდერებს რაღაც საკითხებთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია აქვთ და მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებთან მიმართებით, მაინც ორგანიზაციის ფარგლებში ხდება ერთიანი გადაწყვეტილების გაჟღერება და გამოქვეყნება, რომლის წინააღმდეგ წასვლა და გამოყოფა არცერთ ქვეყანას არ სურს. (Yonhoo, 2001)

დასკვნა

ნაშრომი მიზნად ისახავდა აეხსნა, თუ რატომ არ იცვლება ლათინური ამერიკის რეგიონის და CELAC-ის საგარეო პოლიტიკა ამერიკის შეერთებული შტატებისადმი, მას შემდეგ რაც რეგიონის სამ ძლიერ სახელმწიფოში, რომლებიც ქმნიან პოლიტიკურ ამინდს რეგიონში, არგენტინაში ბრაზილიასა და პერუში, მემარჯვენე პრო-ამერიკული ძალები მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში. კვლევის ჰიპოთეზა მდგომარეობდა შემდეგში, რომ რეგიონული გაერთიანების საგარეო პოლიტიკური კურსის შემუშავებისას გადაწყვეტილებები მიიღება კოლექტიურ დონეზე, რომლის დროსაც ქვეყნები მხედველობაში იღებენ არა ინდივიდუალურ, არამედ კოლექტიურად შექმნილ ფონს, შესაბამისად მიუხედავად წამყვანი ქვეყნების ხელისუფლების სათავეებში პრო-ამერიკული ძალების მოსვლისა, ეს ქვეყნები CELAC-ის ანტიამერიკული პოლიტიკის წინააღმდეგ არ მიდიან, რადგან გაერთიანების წევრთა რიგებში ანტი-ამერიკული განწყობა კვლავ დომინირებს.

კვლევის ფარგლებში განვიხილე რეგიონში პრო-ამერიკული ქვეყნების საგარეო პოლიტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, სადაც გამოჩნდა რომ ამ ქვეყნების უმრავლესობა ცალსახად პრო-ამერიკულ პოლიტიკას ატარებს ინდივიდუალურ დონეზე, თუმცა როდესაც საქმე ეხება ორგანიზაცია CELAC-ის ანტი-ამერიკულ პოლიტიკას, ისინი ამ პოლიტიკის წინააღმდეგ არ მიდიან, რაც განპირობებულია იმით, რომ ამ ქვეყნებს არ სურთ წავიდნენ უმრავლესობა ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებშიც ანტი-ამერიკული განწყობა დომინირებს და დააზიანონ საერთო ფონი.

ნაშრომში ასევე განვიხილე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ლათინური ამერიკის რეგიონის ურთიერთობების ისტორიული კონტექსტი, რათა მარტივად ყოფილიყო გასაგები, თუ რატომ არის რეგიონში ანტი-ამერიკული განწყობა შენარჩუნებული და წარმოდგენილი. ორი რეგიონის ურთიერთობებში ისტორიულად ყოველთვის დაძაბული ფონი იყო და ყოველთვის იყო მცდელობა ლათინური ამერიკის რეგიონში რომ შექმნილიყო ორგანიზაცია, ან გაერთანება, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების

ჩარევასა და ინტერვენციას მაქსიმალურად შეზღუდავდა, რომელიც არაერთი იყო ისტორიის მანძილზე, რაც ასევე გამოჩნდა კვლევის ისტორიულ ნაწილში.

ნაშრომში ასევე მიმოვიხილე საკითხის ირგვლივ შექმნილი ლიტერატურა, რომელშიც ნათლად გამოჩნდა, რომ ქვეყნები ინდივიდუალურად, სადაც პრო-ამერიკული რეჟიმები არიან პრო-ამერიკულ პოლიტიკას ატარებენ, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ კოლექტიური ფონი ანტი-ამერიკულია, არ სურთ უმრავლესობის წინააღმდეგ წასვლა. ხოლო ის, რომ კოლექტიური ფონი ანტი-ამერიკულია ნათლად გამოჩნდა როგორც სამიტის მასპინძელი ქვეყნის, ასევე სხვა ანტი-ამერიკულად განწყობილი მთავრობების პოზიციასა და განცხადებებშიც, რომელიც ცალსახად ანტი-ამერიკულ ხასიათს ატარებდა და ამასთანავე, სამიტის ფარგლებში მყოფ ქვეყნებს სოლიდარობისკენ და ერთიანობისკენ მოუწოდებდნენ.

თეორიულ ჩარჩოდ, ჰიპოთეზის ასახსნელად, გამოვიყენე „Groupthink”-ის ანალიტიკური კონცეფცია, რომელიც საინტერესო თეორიულ ჩარჩოს იძლევა თუ როგორ ხდება და რას ითვალისწინებენ ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები გადაწყვეტილებების მიღებისას, როდესაც საქმე ეხება საერთაშორისო ორგანიზაციაში ქვეყნების მხრიდან გადაწყვეტილებების მიღებას. აღნიშნული კონცეფცია აყალიბებს რამდენიმე ცვლადს, რომლებიც დეტალურად ხსნიან, თუ რატომ არ მიდიან პრო-ამერიკული მთავრობები ორგანიზაციის ფარგლებში ანტი-ამერიკული პოლიტიკის საწინააღმდეგოდ, რაშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს კოლექტიურად შექმნილი ანტი-ამერიკული ფონი, რომლის წინააღმდეგ ქვეყნებს არ სურთ წასვლა და სოლიდარობის პრინციპის დარღვევა.

საბოლოო დასკვნის სახით შემიძლია ვთქვა, რომ ლათინური ამერიკის რეგიონისა და CELAC-ის ანტი-ამერიკული პოზიცია, რომელიც არ იცვლება წამყვანი ქვეყნების სათავეებში მემარჯვენე პრო-ამერიკული მთავრობების მოსვლისა, აიხსნება იმით, რომ ქვეყნების მცირე ჯგუფს, რომლებსაც მიუხედავად იმისა რომ დიდი გავლენა აქვთ რეგიონისა იქ არსებული ორგანიზაციების საგარეო პოლიტიკაზე, არ სურთ წავიდნენ

უმრავლესობის წინააღმდეგ და დააზიანონ საერთო ფონი, რომელიც რეგიონში ანტი-ამერიკული ხასიათისაა.

ლათინური ამერიკის რეგიონისა და ამერიკის შეერთებული შტატებს შორის ურთიერთობები კვლავ რჩება, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკვლევი საკითხი მკვლევარებსა და საკითხით დაინტერესებული საზოგადოებისთვის. ლათინური ამერიკის რეგიონში, საინტერესო პროცესები ვითარდება დღესდღეობითაც, რადგან ძლიერდება პრო-ამერიკული ხელისუფლებები და იმ სახელმწიფოთა რიცხვი, რომლებიც პრო-ამერიკულ პოზიციას ატარებენ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, შესაბამისად საინტერესოა აისახება თუ არა ეს ლათინური ამერიკის რეგიონის საგარეო პოლიტიკაზე ამერიკის შეერთებული შტატებისადმი, რაც მომავალში ასევე საინტერესო საკვლევი საკითხი იქნება მკვლევართათვის.

ბიბლიოგრაფია

Arnson, Cynthia. Latin America in 2010: Opportunities, Challenges and the Future of the U.S. Policy in the Hemisphere. the Senate Foreign Relations Committee Subcommittee on the Western Hemisphere. 2010.

Americas Quarterly. (2009). Latin America's Decade-Long Hangover. Retrieved from: https://www.americasquarterly.org/content/latin-americas-decade-long-hangover

Bakerinstitute. (2016). The 2015 Argentine presidential and legislative elections. Retrieved from https://www.bakerinstitute.org/media/files/files/530d7fb4/Pub-Jones-Argentina2015.pdf

BBC. (2015). Venezuela election: Maduro's Socialists trounced. Retrieved from https://www.bbc.com/news/world-latin-america-35019111

Caistor, N. (11 December 2015). *"Latin America: The pink tide turns"*. BBC. Retrieved From https://www.bbc.com/news/world-latin-america-35060390

Caribflame. 5th CELAC Summit: Special Declaration of the Heads of State and Government. Retrieved From http://www.caribflame.com/2017/01/5th-celac-summit-special-declaration-of-the-heads-of-state-and-government/

Cole, K. Progress in Cuba: The Regional Dimensions. International Journal of Cuban Studies, Vol. 4. P.310 From https://www.jstor.org/stable/41946014

Celacinternational. (2019). Community of Latin American and Caribbean States. Retrieved from: http://celacinternational.org/

CELAC summit backs Venezuela. (2017, May 7). Greenleft. Retrieved from https://www.greenleft.org.au/content/celac-summit-backs-venezuela

Celacinternational. (2019). CELAC. Retrieved from http://celacinternational.org/celac-2-2/

Denoon, B.H. David. China, The United States, and the Future of Latin America: U.S.-China Relations. New York University press, P.71-72.

Dominguez, Jorge. Covarrubias, Ana. Routledge Handbook of Latin America in the World. Regional Multilateralism in Latin America: UNASUR, ALBA and CELAC. Routledge, New York and London. Pp.305

Dominguez, I. Jorge. 1999.The United States and Latin America: The New Agenda. US-Latin American Relations During the Cold War and Its Aftermath. Institute of Latin American Studies, University of London and David Rockfeller Center for Latin America Studies, Harvard University.

Encyclopedia Britannica. Monroe Doctrine. Retrieved May 10, 2019, from https://www.britannica.com/event/Monroe-Doctrine

Encarnacion, G. Omar. (May 9, 2018). The Rise and Fall of the Latin American Left. The Nation.

Farah, D. Eustacia Reyes, Liana. Russia in Latin America: A Strategic Analysis. Institute for National Strategic Security, National Defense University. P. 110. Retrieved From https://www.jstor.org/stable/10.2307/26459215

Fukuyama, F. (2008). FALLING BEHIND. Explaining the Development Gap Between Latin America and the United States. Oxford University press. Pp. 6.

Foreign Affairs of Brazil. (2017). POLITICAL DECLARATION OF PUNTA CANA V CELAC SUMMIT. Retrieved from http://www.itamaraty.gov.br/images/ed_integracao/docs_CELAC/DECLPOL.2017ENG.pdf

Global Risk Insights. *Latin American unification in the Trump Era?* Retrieved 15 June 2019. From https://globalriskinsights.com/2017/02/latin-american-unification-trump-era-rallying-call-2017-celac-summit/

Jonathan Watts and Uki Goñi (22 November 2015). "Argentina president-elect pledges radical policy changes in shift to right". The Guardian. Retrieved From https://www.theguardian.com/world/2015/nov/23/argentina-president-elect-mauricio-macri-iran-venezuela

Kirton, M. (2014). CARICOM's Engagement with Latin America: The Community of Latin American and Caribbean States (CELAC), its Promise and Challenges. In Knight, E. M. & Castro-

Rea, J. & Ghany, H (Eds.), Re-mapping the Americas. (pp. 108-113). Burlington, USA: Ashgate Publishing Company.

Latin America's 'pink tide' ebbs to new low in Brazil. (2016). Retrieved From https://www.yahoo.com/news/latin-americas-pink-tide-ebbs-low-brazil-102115760.html

Loveman, Bryan. (2016). US Foreign Policy toward Latin America in the 19th Century. Oxford Research Encyclopedias.

Livingstone, Grace. (2009). America's Backyard - The United States and Latin America from the Monroe Doctrine to the War on Terror. Zed Books, London & New York. Pp. 19-21.

LLenderrozas, E. LATIN AMERICAN FOREIGN POLICY AND THE COMMUNITY OF LATIN AMERICAN AND CARIBBEAN STATES. Austral: Brazilian Journal of Strategy & International Relations. P. 175-178.

Mason, J. and Lough, R. (24 March 2016). "Obama praises Argentina's 'man in a hurry' Macri for reforms". Reuters. Retrieved From https://www.reuters.com/article/us-usa-argentina-idUSKCN0WP0B3

Newman, L. (2017, Jan. 26). *Latin America leaders condemn Trump's Mexico wall at CELAC summit.* Aljazeera. Retrieved From https://www.aljazeera.com/blogs/americas/2017/01/latin-america-leaders-condemn-trump-mexico-wall-celac-summit-170125171847714.html

Obrine, T. (2007) Making the Americas The United States and Latin America from the Age of Revolutions to the Era of Globalization. University of New Mexico Press. Pp. 19.

Onis, J.D. FRACTURED CONTINENT: The Turmoil and Promise of Latin America. World Affairs, Vol. 176, No. 1 (MAY / JUNE 2013) P.35. Retrieved From https://www.jstor.org/stable/43554762

Oxford Reference. (2019). Pink Tide. Retrieved from: https://www.oxfordreference.com/view/10.1093/oi/authority.20110803100328139

Peruvian Times. (8 August 2017). "Venezuela: Region Agrees It's a Dictatorship". Retrieved from https://www.peruviantimes.com/08/venezuela-region-agrees-its-a-dictatorship/30041/

Partlow, J. Caselli, I. (2015, November 23). Mauricio Macri elected president of Argentina. The Washington Post. Retrieved from

https://www.washingtonpost.com/world/the_americas/argentines-head-to-polls-to-choose-new-president--and-their-future-course/2015/11/22/0af46af9-fb32-424d-be46-70f61f62fcf9_story.html?utm_term=.b58e19ea1fc2

Romero, S. Politi, D. (4 February 2017). "Argentina's Trump-Like Immigration Order Rattles South America". The New York Times. Retrieved From https://www.nytimes.com/2017/02/04/world/americas/argentinas-trump-like-immigration-order-rattles-south-america.html?_r=0

Smith, J. (2005). The United States and Latin America. A history of American Diplomacy, 1776-2000. Routledge 270 Madison Ave, New York, pp. 164-169.

Sexton, J. (2012). The Monroe Doctrine – Empire and Nation in Nineteenth Century America. New York: Hill and Wang. (P.6)

Sullivan, Mark. P. (2015). Argentina Votes for Change in 2015 Presidential Election. Retrieved from Federation of American Sceintists website https://fas.org/sgp/crs/row/IN10378.pdf

TASS. Russia, CELAC share common foreign policy principles. 2014. Retrieved From http://tass.com/russia/717131

Teleshureenglish. (2016). Macri Gives Go-Ahead to US Military Installations in Argentina. Retrieved from https://www.telesurenglish.net/news/Macri-Gives-Go-Ahead-to-US-Military-Installations-in-Argentina-20160518-0029.html

Telesurenglish. (2016). Peruvian President Calls for Foreign Intervention in Venezuela. Retrieved from https://www.telesurenglish.net/news/Peruvian-President-Calls-for-Foreign-Intervention-in-Venezuela-20160925-0004.html

The United States Department of Justice. (2017). Acting Assistant Attorney General Kenneth A. Blanco Speaks at the Atlantic Council Inter-American Dialogue Event on Lessons From Brazil: Crisis, Corruption and Global Cooperation. Retrieved from https://www.justice.gov/opa/speech/acting-assistant-attorney-general-kenneth-blanco-speaks-atlantic-council-inter-american-1

U.S. Embassy & Consulates in Brazyl. (2016). Readout of Vice President Biden's Meeting with President Michel Temer of Brazil. Retrieved from https://br.usembassy.gov/readout-vice-president-bidens-meeting-president-michel-temer-brazil/

Venezuelanalysis. CELAC Voices Solidarity with Venezuela in Face of US Interventionism. Retrieved From https://venezuelanalysis.com/news/12905

Weeks, B. Gregory. U.S. and Latin American Relations. Pearson, Wiley-Blackwell; second edition (August 3, 2015) P. 218.

Weisbrot, Mark. Obama's Latin America Policy: Continuity Without Change. Latin American Perspectives, Vol. 38, No. 4, OBAMA AND LATIN AMERICA (July 2011), pp 63-65. From https://www.jstor.org/stable/23060190

Yonhoo, K. A COMPARATIVE STUDY OF THE "ABILENE PARADOX" AND "GROUPTHINK". Public Administration Quarterly, Vol. 25, No. 2 (SUMMER 2001), pp. 168-189. From https://www.jstor.org/stable/40861836

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Soso Todua

CELAC - Attempt to balance U.S. interests in Latin America

Diplomacy and International Politics

Master's thesis is done to obtain a Master's Degree in Diplomacy and International Politics

Head of the thesis:

Sophia Petriashvili - Associate professor

Sophiko Alaverdashvili – Ph.D Invited lecturer

Tbilisi

2019 year